სამშენებლო
ნორმები და
წესები

ქალაქთმშენებლობა

თბილისი 1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო ნორმები და წესები

ქალაქმშენებლობა

ქალაქისა და სოფლის დასახლების დაგეგმარება და განაშენიანება

სნ და წ 2.07.01-89

ოფიციალური გამოშვება

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი
თბილისი 1991

ნორმატიული დოკუმენტებით სარგებლობისას საჭიროა გათვა-ლისწინებულ იქნას სამშენებლო ნორმებისა და წესების და სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცებული ცვლილებები, რომელთა გამოქვეყნებაც ხდება. სსრკ სახმშენის ჟურნალში - " სამშე-ნებლო ტექნიკის ბიულეტენი ", ასევე " სამშენებლო ნორმე-ბისა და წესების ცვლილებათა კრებულში" და სსრკ სახ-სტანდარტის საინფორმაციო მაჩვენებლებში - " სსრკ სახელმწი-ფო სტანდარტები ".

თარგმნა : გ. ჯინჯოლიამ

რედაქტორები: გ. მირიანაშვილი
ე. ბაგრატიონი

გ ა მ ო ც ე მ ა
საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და ქალაქმშე-ნებლობის სახელმწიფო კომიტეტის დ ა კ ვ ე თ ი თ

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრკ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი /სსრკ სახმშენი/	სამშენებლო ნორმები და წესები ქალაქთმშენებლობა ქალაქისა და სოფლის დასახლების დაგეგმარება და განაშენიანება	სნ და ჰ 2.07.01.89 ნაცვლად სნ და წ II-60-75

ეს ნორმები და წესები ვრცელდება ახალი ქალაქისა და სოფლის დასახლების პროექტირებაზე, ასევე არსებულთა რეკონსტრუქციაზე და მოიცავს ძირითად მოთხოვნებს მათ დაგეგმარებასა და განაშენიანებაზე; ამ მოთხოვნათა კონკრეტიზაცია უნდა ხდებოდეს რეგიონალური /რესპუბლიკური/ ნორმატიული დოკუმენტებით.

ქალაქის ტიპის დასახლება /საქალაქო, მუშათა, საკურორტო/ უნდა დაპროექტდეს ამავარა ქალაქებისთვის დადგენილი ნორმებით მოსახლეობის სააღგარიშო რიცხობრიობის შესაბამისად.

ქალაქგარეთ მდებარე საწარმოებთან და ობიექტებთან არსებული დასახლებები, რომლებსაც არ გააჩნიათ ქალაქის ტიპის დასახლების სტატუსი, უნდა დაპროექტდენ უწყებრივი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად; – მათი უქონლობის შემთხვევაში კი – წესებამის სასოფლო დასახლებისთვის დადგენილი ნორმებით, მოსახლეობის სათანადო სააღგარიშო რიცხობრიობის დაცვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქალაქისა და სოფლის დასახლების პროექტირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სამოქალაქო თავდაცვისთვის საჭირო ღონისძიებები სპეციალური ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

შეტანილია სახკომარქიტექტურის მიერ	დამტკიცებულია სსრკ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის 1989 წლის 16 მაისის N 78 დადგენილებით	მოქმედების შესვლის დრო: 1990 წ. 1 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ქალაქისა და სოფლის დასახლების ტერიტორიის საერთო ორგანიზაცია და განვითარების კონცეფცია

1.1. ქალაქისა და სოფლის დასახლების პროექტირება აუცილებელია ხდებოდეს მოკავშირე რესპუბლიკებში განსახლებათა სქემების, რეგიონალური ქალაქთმშენებლობითი პროგრამების, რაიონული დაგეგმარების პროექტებისა და სქემების საფუძველზე, და უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამებს, საწარმოო ძალთა განლაგებისა და განვითარების სქემებს, კონცეფციებს, სახელმწიფო ხუთწლიან გეგმებს, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარების ძირითად მიმართულებებს და ასევე უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიალურ - საწარმოო კომპლექსების ფორმირების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, ბუნების დაცვის ტერიტორიული კომპლექსური სქემების, საშიშ გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ პროცესებისგან ტერიტორიათა და დასახლებათა დაცვის სქემების, სსრკ სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების, პროფკავშირების და სხვათა-სათანადო დამუშავებულ მოთხოვნებს.

1.2. ქალაქისა და სოფლის დასახლება უნდა დაპროექტდეს როგორც ქვეყნის განსახლების სისტემის და ამ განსახლების სისტემაში შემავალ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების, მხარეთა და ოლქთა, ავტონომიურ ოლქთა და ოკრუგების, ადმინისტრაციულ რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოთა, ასევე ოლქთაშორის, რაიონთაშორის და მეურნეობათაშორის განსახლებათა სისტემების ელემენტები. ამასთანავე საჭიროა გათვალისწინება ერთიანი სოციალური, საწარმოო, საინჟინრო-სატრანსპორტო და სხვა ინფრასტრუქტურათა ფორმირების, ასევე საჭიროა დასახლების ზონის გავლენის ფარგლებში

/განსახლების ცენტრის ან ქვეცენტრის სისტემის/ გათვალისწინება მომავალში განვითარებადი შრომითი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სარეკრეაციო კავშირების.

ზონების გაკეთების ძირები უნდა იქნან მიღებული: ქალაქებისთვის - რაიონების ადმინისტრაციული ცენტრებისა და სხვა დასახლებებისთვის - განსახლებათა სქემების მონაცემთა საფუძველზე, სქემებითა და რაიონული გეგმარების პროექტებით რესპუბლიკის, მხარეების, ოლქების, რაიონების არსებული ადმინისტრაციულ საზღვრების გათვალისწინებით; დასახლებებისთვის - სასოფლო-საბჭოების ცენტრებისთვის და სხვა საწარმოებისთვის - ამ საწარმოთა პირველადი მიწათსარგებლობის საზღვრებში.

1.3. ქალაქისა და სოფლის დასახლების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებში საჭიროა მათი განვითარების რაციონალური თანმიმდევრობის გათვალისწინება სსრკ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმების, კონტროლიათა, ძირითად მიმართულებათა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შესაბამისად, რომლის დამუშავებაც ხდება 20 წლის ვადით. ამასთანავე აუცილებელია გაწისაზღვროს პერსპექტივები დასახლების საანგარიშო ვადებს იქით, ტერიტორიალური განვითარების პრინციპიალური გადაწყვეტების, ფუნქციონალური ზონირების, გეგმარებითი სტრუქტურის, საინჟინრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და გარემო სფეროს დაცვით ღონისძიებათა გათვალისწინებით.

როგორც წესი, საანგარიშო ვადა უნდა იყოს 20 წელი, ხოლო ქალაქმშენებლობითმა პროგნოზმა შეიძლება მოიცვას 30-40 წელი.

1.4. ქალაქისა და სოფლის დასახლებები საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპროექტო რიცხობრიობასთან დაკავშირებით იყოფიან ჯგუფებად, შესაბამისად ცხრ. 1-სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

დასახლებების ჯგუფები	მოსახლეობა, ათასი ადამიანი	
	ქალაქები	სოფლების დასახლებები
უმსხვილესები	1000 მეტი	-
მსხვილები	500 დან 1000 მდე	5 მეტი
	250 დან 500 მდე	3 დან 5 მდე
დიდები	100 დან 250 მდე	1 დან 3 მდე
საშუალოები	50 დან 100 მდე	0.2 დან 1 მდე
პატარები[1]	20 დან 50 მდე	0.05 დან 0,2 მდე
	10 დან 20 მდე	0.05 მდე
	10 მდე	

1/ პატარა ქალაქების ჯგუფში იშვიათებიან ქალაქის ტიპის დასახლებებიც

1.5. მოსახლეობის რიცხობრიობა საანგარიშო ვადაში საჭიროა განისაზღვროს განსახლების სისტემაში დასახლების პერსპექტიული განვითარების მონაცემების საფუძველზე და ანგარიში გაეწიოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური ნამატის დემოგრაფიულ პროგნოზს და ქალაქარისების მიგრაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის დასახლების განვითარების პერსპექტივები უნდა განისაზღვროს კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა საწარმოთა განვითარების გეგმათა საფუძველზე, მათი საწარმოო სპეციალიზაციის, მიწათმოწყობის სქემებისა და პროექტების, რაიონული გეგმარების პროექტების მხედველობაში მიღებით აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებასთან ერთად, ასევე სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოთა, ორგანიზაციების და საწარმოების განთავსებებისადმი ანგარიშგაწევით. ამასთანავე მოსახლეობის რიცხობრივი გაანგარიშება საჭიროა შესრულდეს მეურნეობაში შემაჯამებელი სოფლების დასახლებათა ჯგუფზე.

1.6. ქალაქისა და სოფლის დასახლების განვითარებისათვის ტერიტორია აუცილებელია შეირჩეს ფუნქციონალურად მისი რაციონალური გამოყენების შესაძლებლობიდან გამომდინარე თვალსაზრისით, და საფუძვლად დაედოს არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტათა ვარიანტების შედარება, ტექნიკურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, თბო-ენერგეტიკული წყაროების, ტერიტორიალური რესურსების, გარემო სფეროს მდგომარეობის მაჩვენებლები, ბუნებრივ და სხვა პირობების პერსპექტივაში შეცვლის პროგნოზის გათვალისწინებით.

1.7. ფუნქციონალურად უპირატესი გამოყენების მიზნით ქალაქის ტერიტორია იყოფა დასასახლებელ, საწარმოო და ეანდშაფტურ-საკურორტო ზონებად.

დ ა ს ა ხ ლ ე ბ ე ლ ი ტ ე რ ი ტ ო რ ი ა გამოიყოფა საცხოვრებელი ფონდის, საზოგადოებრივი შენობების და ნაგებობების განსათავსებლად, მათ შორის - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და მათი კომპლექსების, ასევე, - ცალკეული კომუნალური და სარეწარმოო ობიექტების, რომლებიც არ მოითხოვენ სანიტარულ-დაცვით ზონებს; ქალაქის შიგნით სამისვლო გზების, ქუჩების, მოედნების, პარკების, ბულვარების და სხვა საერთო სარგებლობის ადგილების მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო ტერიტორია გამოიყოფა საწარმოების და მათთან დაკავშირებული ობიექტების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და მათი კვლევითი საწარმოების, კომუნალურ-სასაწყობო ობიექტების, გარე ტრანსპორტის და ქალაქგარე და ქალაქისპირა ნიმუსვილის გზების განსათავსებლად.

ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ტერიტორიაში ჩაითვლება ქალაქის ტყეები, ტყეპარკები, ტყიდაცვითი ზონები, წყალსაცავები, სასოფლო-სამეურნეო გამოყენების და სხვა სავარგულები, რომლებიც პარკებთან, ბაღებთან, სკვერებთან და ბულვარებთან ერთად განთავსებულია დასასახლებელ ტერიტორიაზე და ფორმირებას ახდენს ღია სივრცეების.

აღნიშნულ ტერიტორიათა ფარგლებში გამოიყოფა ფუნქციონალური დანიშნულების სხვადასხვა ზონები: საცხოვრებელი განაშენიანების, საზოგადოებრივი ცენტრების, საწარმო-სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო, კომუნალურ-სასაწყობო, გარე ტრანსპორტის, მასიური დასვენების, საკურორტო /ქალაქებსა და დასახლებებში, რომლებსაც გააჩნიათ სამკურნალო რესურსები/, დაცული ლანდშაფტების.

სასოფლო დასახლების ტერიტორიის ორგანიზება აუცილებლად უნდა ხდებოდეს საერთო სამეურნეო ტერიტორიის ფუნქციონალური ორგანიზების გათვალისწინებით, როგორც წესი, დასასახლებელ და საწარმოო ტერიტორიათა გამოყოფით.

ისტორიულ ქალაქებში საჭიროა გამოიყოს ისტორიული განაშენიანების ზონები /რაიონები/.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ობიექტების განთავსებისას თუკი დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მოთხოვნები, - დასაშვებია მრავალფუნქციონალური ზონის შექმნა.

2. იმ რაიონებში, სადაც ადგილი აქვს საშიშ და კატასტროფულ ბუნებრივ მოვლენებს /მიწისძვრა, ცუნამი, ღვარცოფი, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი/, დასასახლებელ ტერიტორიის ზონირებისას საჭიროა მიღწეულ იყოს რისკის ხარისხის შემცირება და ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა. უდიდესი რისკის ზონებში უნდა განლაგდეს პარკები, ბაღები, სპორტული ღია მოედნები და განაშენიანებისგან თავისუფალი სხვა ელემენტები.

სეისმიურ რაიონებში ტერიტორიის ფუნქციონალური ზონირება უნდა გათვალისწინებულ იქნას მიკროდარაიონების სეისმიურობის პირობების საფუძველზე. ამასთანავე განაშენიანებისთვის საჭიროა გამოყენებულ იქნას ნაკლებად სეისმიური უბნები, სნ-429 - 71 მოთხოვნათა შესაბამისად.

3. რთული საინჟინრო - გეოლოგიურ პირობების რაიონებში განაშენიანებისათვის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ის უბნები, რომლებიც მოითხოვენ ნაკლებ დანახარჯებს საინჟინრო მომზადებისთვის, მშენებლობისთვის და შენობათა და ნაგებობათა ექსპლუატაციისთვის.

1.8. ქალაქებისა და სოფლის დასახლებათა გეგმარებითი სტრუქტურა საჭიროა ფორმირდებოდეს. განთავსების კომპაქტურობითა და ზონების ფუნქციონალური ურთიერთკავშირის უზრუნველყოფით, ტერიტორიათა რაციონალური დარაიონება უნდა შეუთავსდეს საზოგადოებრივ ცენტრების სისტემებს, საინჟინრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, ტერიტორიათა ეფექტურ

გამოყენებას მათი ქალაქთმშენებლობითი ფასეულობასთან დაკავშირებით, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ტრადიციების კომპლექსურ აღრიცხვას, ბუნებრივ-კლიმატურ, ლანდშაფტურ, ნაციონალურ-ყოფითი და სხვა ადგილობრივ თავისებურებებს, გარემო სფეროს დაცვას, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი : 1. სეისმურ რაიონებში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ქალაქების დანაწევრებითი გეგმარებითი სტრუქტურა და ცეცხლფეთქებასაშიში და მოსახლეობის დიდი კონცენტრაციის ობიექტების განცალკევებული განთავსება;

2. ისტორიულ ქალაქებში საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მათი ისტორიული გეგმარებითი სტრუქტურისა და არქიტექტურული იერის ყოველმხრივი შენარჩუნება, გათვალისწინებულ იყოს ისტორიული ზონების რეკონსტრუქციის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის კომპლექსური პროგრამების დამუშავება და განხორციელება.

1.9. უმსხვილეს და მსხვილ ქალაქებში საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მიწისქვეშა სივრცეთა გამოყენება, მათში საქალაქო ტრანსპორტის ნაგებობათა, სავაჭრო დაწესებულებათა, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, ცალკეულ საწარმოებრივ და საპორტულ ნაგებობების, ადმინისტრაციულ დამხმარე-ხელშემწყობ სათავსოების, საზოგადოებრივ და საცხოვრებელ ნაგებობების, საინჟინრო მოწყობილობათა სისტემათა ობიექტების, სხვადასხვა დანიშნულების კომუნალურ-სასაწყობო ობიექტების ურთიერთდაბლოკებული განთავსებისთვის.

1.10. ქალაქების მიმდებარე ტერიტორიებზე საჭიროა საგარეუბნო ზონის გათვალისწინება, როგორც ქალაქის შემდგომი განვითარების რეზერვისა და ძველი სამეურნეო მომსახურეობის ობიექტთა განსათავსებლად, ხოლო საგარეუბნო ზონებში - მწვანე ზონების, განცალკევებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის დასვენების ორგანიზებისთვის, მიკროკლიმატისა და ატმოს-ფერული ჰაერის მდგომარეობისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად.

საგარეუბნო ზონების საზღვრების დადგენისას საჭიროა გათვალის-წინებული იქნას ქალაქებისა და სოფლების დასახლებათა ურთიერთკავშირე-ბის განვითარება, ადმინისტრაციული რაიონების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოების საზღვრები. ქალაქებისთვის, რომლებიც ერთიანდებიან განსახლების ფორმირების ჯგუფურ სისტემაში, - საჭიროა გათვალისწინე-ბულ იქნას საერთო საგარეუბნო ზონა.

1.11. საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების დამხმარე სოფლის მეურნეობის განთავსება, ასევე კოლექტიური მებაღე-ობისა და მებოსტნეობის ნაკვეთების განთავსება საჭიროა გათვალისწი-ნებულ იქნას, როგორც წესი, საგარეუბნო ზონის ტერიტორიაზე ფორმირე-ბული აგროსამრეწველო კომპლექსების გათვალისწინებით. დამხმარე სოფლის მეურნეობის საცხოვრებელ - სამოქალაქო ობიექტების მშენებლობა, როგორც წესი, უნდა განთავსდეს არსებულ სოფლების დასახლებათა ტერიტორიებზე.

მებაღეობის ამხანაგობათა უბნები აუცილებელია განთავსდნენ ქალაქებისა და სოფლების დასახლებათა პერსპექტიული განვითარების სარეზერვო ტერიტორიებს გარეთ, გათვალისწინებულების ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისთვის საცხოვრებელ ადგილებიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისვლის შესაძლებლობით, როგორც წესი, არა უმეტეს 1,5 საათისა, ხოლო უმსხვილეს და მსხვილ ქალაქთათვის - არა უმეტეს - 2 საათისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამოსახლო ტერიტორია

2.1. ქალაქისა და სოფლის სამოსახლო ტერიტორიის გეგმარებითი სტრუქტურა უნდა ფორმირდებოდეს საზოგადოებრივი ცენტრების, საცხოვრებელი განაშენიანების, ზონების, ქუჩებისა და გზათა ქსელების, საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიების, არასაწარმოო სამუშაო ადგილების ურთიერთდაკავშირებითი განთავსებით, ასევე იგი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს დასახლების გეგმარებით სტრუქტურას, მის სიდიდესა და ტერიტორიის ბუნებრივ თავისებურებებს.

სამოსახლო ტერიტორიათა მოთხოვნების წინასწარი განსაზღვრისთვის საჭიროა გამოვიყენოთ გამსხვილებული მაჩვენებლები 1000 ადამიანზე გაანგარიშებული: ქალაქებში, როცა საცხოვრებელი განაშენიანების საშუალო სართულიანობა - 3 სართულამდეა - 10 ჰა შემოღობილნაკვეთიანი განაშენიანების დროს და 20 ჰა - ნაკვეთების გარეშე განაშენიანებისთვის; 4 დან 8 სართულამდეა - 8 ჰა; 9 სართულისა და ზევით - 7 ჰა; სოფლის დასახლებებში უმეტესად კარ-მიდამოიანი განაშენიანებისთვის - 50 ჰა. ჩ.გ. 58° ჩრდილოეთით მდებარე რაიონებისთვის, ასევე Iა, Iბ, Iგ, Iდ და IIა კლიმატური ქვერაიონებისთვის აღნიშნული მაჩვენებლები დასაშვებია შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 30 %.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ქალაქებში სამოსახლო ტერიტორიები საჭიროა მაგისტრალებით ანდა მწვანე ნარგავთა ზოლებით სიგანით არანაკლებ 100 მ. დაიყოს რაიონებად, ფართობით არაუმეტეს 250 ჰა.

2.2. სამოსახლო ტერიტორიის ზომების განსაზღვრისას საჭიროა გამოვიყენოთ ყოველი ოჯახის ცალკე ბინით ან სახლით დაკმაყოფილების

აუცილებლობიდან. საანგარიშო საცხოვრებლით უზრუნველყოფა ისაზღვრება დიფერენციალურად ქალაქებისთვის მოქიანად და მათი ცალკეული რაიონებისთვის - ოჯახის საშუალო სიდიდის, გამოსაყენებელი ტიპიურ საცხოვრებელ სახლთა, საბინაო მშენებლობის დაგეგმილი მოცულობების, მოსახლეობის ხარჯზე მშენებარე ფონდის ნაწილის პროგნოზული მონაცემების საფუძველზე. ბინების საერთო ფართობი საჭიროა გაანგარიშდეს სნ და წ 2.08.01-89 მოთხოვნათა საფუძველზე.

2.3. ქალაქებში ინდივიდუალურ მშენებლობათა განთავსება საჭიროა გათვალისწინებულ იქნას:

ქალაქის საზღვრებს შიგნით- უპირატესად თავისუფალ ტერიტორიებზე, მშენებლობისთვის ადრე უთარგისად ჩათვლილთა, ასევე განაშენიანებათა რეკონსტრუქციაში მდინარე ტერიტორიებისთვის /უბნებზე, სადაც არსებული ინდივიდუალური საკარმიდამო განაშენიანებაა, რაიონში სადაც არასაკარმიდამო განაშენიანებაა მისი შემჭიდროვებით და ქალაქის ჩამოყალიბებული იერსახის შენარჩუნების მიზნით/;

ქალაქსაგარეუბნო ტერიტორიათა ზონებში - სარეგერვო ტერიტორიებზე, ქალაქის საზღვრებში ჩათვლით; ახალ და განვითარებად დასახლებებში, განთავსებულების ისეთ ადგილებში სადაც ქალაქის ტრანსპორტით მისვლა წესაძლებელია 30-40 წუთის განმავლობაში.

ინდივიდუალურ საკარმიდამო განაშენიანებათა რაიონები არ უნდა განლაგდნენ ქალაქებში ძრავაღსართულიანი მშენებლობის ძირითადი განვითარების მთავარ მიმართულებებზე.

სოფლის დასახლებებში აუცილებელია ინდივიდუალურ მშენებლობათა განთავსება მხოლოდ იმ წყლის მიხედვით, რომელიც დადგენილია რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ.

ინდივიდუალურ განაშენიანებათა რაიონებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გამწვანება, კეთილმოწყობა და ტერიტორიის საინჟინრო

ეროვნული

მოწყობა, ყოველდღიური მოხმარების მომსახურე დაწესებულებებით და საწარმოთა განთავსება.

საზოგადო ცენტრები

2.4. ქალაქებში საჭიროა ხდებოდეს საზოგადოებრივი ცენტრების სისტემების ფორმირება, რომელებშიაც იქნება საერთო საქალაქო ცენტრი, ცენტრები გეგმარებადი რაიონების /ზონების/, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ რაიონების, დასვენების ზონების, ყოველდღიური მოხმარების სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ცენტრები, აგრეთვე სპეციალიზირებული ცენტრები /სანედიცინო, სასწავლო, სპორტული და სხვ./, რომელთა განლაგებაც დასაშვებია ქალაქის საგარეუბნო ზონაში.

მ ე ნ ი შ ვ ნ ა . საზოგადოებრივი ცენტრების რიცხვი, შემადგენლობა და განთავსება ხდება ქალაქის სიდიდის, განსახლების სისტემაში მისი როლის და ტერიტორიის ფუნქციონალურ-გეგმარებითი ორგანიზაციის გათვალისწინებით. მსხვილ და უმსხვილეს ქალაქებში, ასევე დანაწევრებულ სტრუქტურიან ქალაქებში საერთო საქალაქო ცენტრს, როგორც წესი, ემატება საქალაქო მნიშვნელობის ცენტრები. პატარა ქალაქებში და სოფლის დასახლებებში, როგორც წესი, ფორმირება ხდება ერთიანი საზოგადოებრივი ცენტრის, საცხოვრებელ განაშენიანებებში ყოველდღიური მოხმარების ობიექტების დამატებით.

2.5. საზოგადოებრივ ცენტრებში მომების და გეგმარებითი ორგანიზაციის და მიხედვით საჭიროა საერთო საქალაქო ცენტრის ბირთვის -

ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებრივ სივრცეთა სისტემების ფორმირება /მთავარი ქუჩების, მოედნების, ფეხით სავალი ზონების/.

ისტორიულ ქალაქებში დასაშვებია საერთო საქალაქო ბირთვი ფორმირდებოდეს მთლიანად ან ნაწილობრივ ისტორიული განაშენიანების ფარგლებში იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ჩამოყალიბებული ისტორიული გარემოს მთლიანობა.

საცხოვრებელი განაშენიანება

2.6. საცხოვრებელი განაშენიანების პროექტირებისას, როგორც წესი, სამოსახლო ტერიტორიის სტრუქტურული ორგანიზების ორი ძირითადი დონე გამოიყოფა:

მ ი კ რ ო რ ა ი ო ნ ი /კვარტალი/ - საცხოვრებელი განაშენიანების სტრუქტურული ელემენტი ფართობით, როგორც წესი, 10-60 ჰა, მაგრამ არა უმეტეს 80 ჰა, მაგისტრალური ქუჩებით და გზებით დაუნაწევრებელი, რომლის ფარგლებში, განლაგებული არიან ყოველდღიური მოხმარების დაწესებულებები და საწარმოები მომსახურეობის რადიუსით არა უმეტეს 500 მ /გარდა სკოლებისა და სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებათა, რომელთა მომსახურეობის რადიუსი განისაზღვრება ამ ნორმების ცხრილ 5-ის შესაბამისად/; საზღვრებს, როგორც წესი, წარმოადგენს მაგისტრალური ან საცხოვრებელი ქუჩები, გასასვლელები, ფეხით სავალი გზები, ბუნებრივი მიჯნები;

ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი რ ა ი ო ნ ი - სამოსახლო ტერიტორიის სტრუქტურული ელემენტი ფართობით, როგორც წესი, 80-დან 250 ჰა-მდე, რომლის ფარგლებშიც თავსდება დაწესებულებები და საწარმოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურეობის რადიუსი არა უნდა 1500 მ, ასევე საქალაქო მნიშვნელობის ობიექტების ნაწილი; საგზურებად, როგორც წესი, გვევიანება ძნელადგადასადგავი გუსებრივი და ხელოვნური მიკრები, მაგისტრალური ქუჩები და საერთო საქალაქო მნიშვნელობის გზები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. საცხოვრებელი რაიონი წარმოადგენს, როგორც წესი, იმ ობიექტს, რომლისთვისაც შეშავდება დეტალური დაგეგმარების პროექტი, ხოლო მიკრორაიონი /კვარტალი/ - განაშენიანების პროექტი. პროექტირებადი ობიექტის მიკუთვნება სამოსახლო ტერიტორიის ორგანიზების ერთ- ერთ სტრუქტურული ერთეულად ხდება საპროექტო დავალებაში.

2. პატარა ქალაქებსა და სოფლების დასახლებებში კომპაქტურ გეგმარებით სტრუქტურისას საცხოვრებელი რაიონი შეიძლება იყოს მთლიანად სამოსახლო ტერიტორია.

3. ისტორიული განაშენიანების ზონაში საცხოვრებელი ტერიტორიის სტრუქტურული ორგანიზების ელემენტებად გვევიანება კვარტალები, კვარტალების ჯგუფები, ქუჩებისა და მოედნების ანსამბლები.

2.7. საცხოვრებელი განაშენიანების საერთიანობა განისაზღვრება ტექნიკურ- ეკონომიკური გაანგარიშებების საფუძველზე არქიტექტურული - კომპოზიციური, სოციალურ- საყოფაცხოვრებო, ჰიგიენურ, დემოგრაფიული მოთხოვნათა, სამშენებლო ბაზის თავისებურებათა და საინჟინრო მოწყობილობათა გათვალისწინებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ქალაქებისათვის, რომელებიც განლაგებული არიან 7-9 ბალიან სეისმურ რაიონებში, როგორც წესი, საჭიროა ითვალისწინებდნენ ერთ, ორსექციან საცხოვრებელ შენობებს სიმაღლით არა უმეტეს 4 სართულისა, ასევე ბლოკირებულ სართულიან განაშენიანებას საკარმიდამო და საბინაო ნაკვეთებით. განთავსება და სართულიანობა საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებისა აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სნ და წ II-7-81 და სწ 429 - 71 მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2.8. ისევ რაიონების რეკონსტრუქციისას სადაც მეტია ჩამოყალიბებული კაპიტალური საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გეგმარებითი სტრუქტურისა და ტრასების შეცვლის მოწესრიგება, საზოგადოებრივი მომსახურეობის სისტემის გაუმჯობესება, ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა, საცხოვრებელ და საზოგადო შენობათა არქიტექტურული იერის მაქსიმალური შენარჩუნება, მათი მოდერნიზაცია და კაპიტალური რემონტი, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაცია და შეზუება თანამედროვე პირობებში გამოსაყენებლად.

საცხოვრებელი ფონდის შესანარჩუნებელი ან ასაღები მოცულობა საჭიროა გამოვლენილ იქნას დადგენილი წესით, მათი ეკონომიკური და ისტორიული ფასეულობის, ტექნიკური მდგომარეობის, საცხოვრებლად ვარგისი ფონდის მაქსიმალური შენარჩუნების და ისტორიულად ჩამოყალიბებულ სფეროს გათვალისწინებით.

ჩამოყალიბებულ განაშენიანების კომპლექსურ რეკონსტრუქციისას დასაშვებია სათანადო დასაბუთებით დაშვებულ იქნეს საპროექტო დავალების მეშვეობით ნორმატიული მოთხოვნები არქიტექტურის, სანიტარიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველობის და სანიტარული ინსპექციის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. ამასთანავე აუცილებელია განაშენიანების ბანძურსაშიშროების შემცირების უზრუნველყოფა და მაცხოვრებელ ა სანიტარულ - ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

2.9. მიკრორაიონებისა და კვარტალების ტერიტორიებში შესასვლელები, ავრეთვე შენობების გამჭოლი გასასვლელები საჭიროა ერთიმეორისგან მდებარეობდენ არა უმეტეს 300 მ., ხოლო სარეკონსტრუქციო რაიონები პერიმეტრული განაშენიანების დროს - არა უმეტეს 180 მ. რეგულირებადი მოძრაობის ბაგისტრალური ქუჩების სავალ ნაწილებთან გასასვლელების მიერთება დასაშვებია გზაჯვარედინებიდან არა უახლოეს 100 მ. მანძილისა.

საცხოვრებელ შენობათა ჯგუფებისთვის, მსხვილ დაწესებულებებისთვის და მომსახურეობის საწარმოებისთვის, სავაჭრო ცენტრებისთვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ძირითადი მისასვლელები, ხოლო ცალკე მდგომ შენობებისთვის - მეორესარისხოვანი მისასვლელები, რომელთა გამოებიც საჭიროა მიღებული იყოს, ამ ნორმების ცხრილ- 8 შესაბამისად.

მიკრორაიონებს და კვარტალებს 5 სართულიანი და უფრო მაღალი განაშენიანებებით, როგორც წესი, უნდა ჰქონდეთ ორმხრიანი, ხოლო 5 სართულიანზე ნაკლებ განაშენიანებებს - ერთმხრიანი გასასვლელები.

ერთმხრიან გასასვლელებზე საჭიროა გათვალისწინებული იყოს ასაქცევი მოედნები სიგანით 6 მ და სიგრძით 15 მ, დაცილებული ერთიმეორისგან არა უმეტეს 75 მ. ნაწილით. შესასვლელებიან შენობათა ფასადების ფარგლებში, გასასვლელები კეთდება სიგანით 5,5 მ.

რისკიანი გასასვლელი უნდა იყოს სიგრძით არა უმეტეს 150 მ და [illegible] ეს მოსაბრუნებელი მოედნით, რომელიც უზრუნველყოფს

ნაგავმზიდების, დამსუფთავებელი და სახანძრო მანქანების შემობრუნებას;

ტროტუარები და საველოსიპედო გზები საჭიროა მოეწყოს გასასვლელთა დონიდან 15 სმ ამაღლებით. ტროტუარებისა და საველოსიპედო გზების გადაკვეთები მეორეხარისხოვან გასასვლელებთან, აგრეთვე სკოლებთან და სკოლამდელი ასაკის დაწესებულებების მისასვლელებთან და ძირითად გასასვლელებთან საჭიროა გათვალისწინებული იყოს ერთ დონეზე რამპის მოწყობით, შესაბამისად 1,5 და 3 მ. სიგრძით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ცალკე მდგომ საცხოვრებელ შენობებთან, რომელთა სიმაღლეც არ აღემატება 9 სართულს, ასევე იმ ობიექტებთან, რომლებთანაც მიდიან ინვალიდები, დაშვებულია მოეწყოს მისასვლელები, შეთავსებული ტროტუარებთან, როცა მათი სიგრძეა არა უმეტეს 150 მ და საერთო სიგანე არანაკლებ 4,2 მ.

2.10. ქალაქებში ინდივიდუალური სახლისთვის ან ერთი ბინისთვის გამოყოფილი საკარმიდამო /საბინაო/ მიწის ნაკვეთის ზომები საჭიროა განისაზღვროს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესებით.

საკარმიდამო და საბინაო მიწის ნაკვეთების ზომების განსაზღვრისას აუცილებელია გათვალისწინება სხვადასხვა სიდიდის ქალაქების ქალაქთმშენებლობითი სიტუაციების, საცხოვრებელ სახლთა ტიპების, საცხოვრებელი განაშენიანების /გარემოს/ ფორმირების ხასიათის, ქალაქის სტრუქტურაში მათი განთავსების პირობათა თავისებურებებით, სახელმძღვანელოდ დანართ – 3-ის მიღებით.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

2.11 მიკრორაიონის /კვარტალის/ გამწვანებული ტერიტორიების ფართობები საჭიროა განისაზღვროს არანაკლებ 6 მ^2/მცხოვრებზე /სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა ნაკვეთების ჩაუთვლელად/.

I ა, I ბ, I გ, I დ და II ა კლიმატური ქვერაიონების წაბილებისთვის რომლებიც მდებარეობენ ჩ.გ. 58^0 ჩრდილოეთით, მიკრორაიონთა გამწვანების კრებსითი ფართობი დასაშვებია შემცირდეს, მაგრამ მიღებული უნდა იყოს არანაკლებ 3 მ^2/ მცხოვრებზე, ხოლო I ა, I ბ, I დ, II ა კლიმატურ ქვერაიონებში, რომლებიც მდებარეობენ ჩ.გ. 58^0 სამხრეთით და I ბ, II ბ და II გ ქვერაიონებისთვის ჩ.გ. 58^0 ჩრდილოეთით - არანაკლებ 5 მ^2 / მცხოვრებზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : მიკრორაიონების გამწვანებულ ტერიტორიების ცალკეული უბნების ფართობებში ჩაითვლება მოედნები დასვენებისთვის, ბავშვთა სათამაშოდ, ქვეითად სავალი გზები, როცა ისინი იკავებენ უბნის საერთო ფართობის არა უმეტეს 30 %.

2.12 მანძილები საცხოვრებელ შენობებს შორის, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ, ასევე საწარმოო დანიშნულების შენობებს შორის საჭიროა განისაზღვროს ინსოლაციისა და განათების აგებაშის საფუძველზე, ინსოლაციის ნორმების თანახმად, მოცემულების ამ ნორმების პ.9.19, - განათების ნორმების - მოცემულების სნ და წ II-4-79, ასევე ხანძარსაწინააღმ მოხხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია აუცილებელ დანართ - 1.

2-3 სართულის სიმაღლის საცხოვრებელი შენობების გრძივ მხარეთა შორის მანძილი /საყოველთაცხოვრებო დაცილებები/ საჭიროა განისაზღვროს არანაკლებ 15 მ., ხოლო სიმაღლე თუ 4 სართულია - არანაკლებ 20 მ., ამ შენობათა გრძივ მხარეებსა და გვერდის ფასადებს შორის

საცხოვრებელი ოთახების ფანჯრებით - არანაკლებ 10 მ. ამ მანძილების შემცირება დაიშვება ინსოლაციისა და განათების ნორმების დაცვისას თუკი უზრუნველყოფილია საცხოვრებელ სათავსოებში ერთი ფანჯრიდან მეორეში ჩაუხედაობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. კარმიდამოებიანი განაშენიანების ჩაიონებში მანძილები საცხოვრებელ სათავსოთა ფანჯრებიდან სამეურნეო ნაგებობებამდე /ფარდული , გარაჟი, აბანო/, განათავსებულების მეზობელ მიწის ნაკვეთზე, უნდა იყოს არანაკლებ 6 მ. სამეურნეო ნაგებობები უნდა განთავსდნენ ნაკვეთთა საზღვრებიდან არანაკლებ 1 მ. მანძილზე.

2. დასაშვებია სამეურნეო ნაგებობათა მიკირება მეზობელ საკარმიდამო ნაკვეთებზე, მოსაზღვრეთა ურთიერთშეთანხმებითა და იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია აუცილებელ დანართ - 1-ში.

2.13 საცხოვრებელი განაშენიანების პროექტირებისას საჭიროა გათვალისწინებული იყოს მოედნების განთავსება, რომელთა ზომები და დაშორების მანძილები საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებიდან უნდა იყოს არანაკლებ განსაზღვრულისა ცხრილი 2-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

მ ო ე დ ნ ე ბ ი	მოედნების კუთრი ზომები $მ^2$/ადამიანი	მანძილები საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ფანჯრებიდან მოედნებამდე, მ-ში
სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის და უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის	0,7	12
სრული ასაკის მაცხოვრებელთა დასასვენებლად	0,1	10
ფიზკულტურული მეცადინეობისთვის	2,0	10-40
სამეურნეო მიზნებისთვის და ძაღლთა გასასეირნებლად	0,3	20 /სამეურნეო მიზნებისთვის/ 40 /ძაღლთა გასასეირნებლად/
ავტომანქანათა სადგომებისთვის	0,8	ცხრილი 10-ის მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. მანძილები ფიზკულტურული მეცადინეობისთვის განკუთვნილი მოედნებიდან უნდა განისაზღვროს ბგაურის მახასიათებელი მარჯვენებების მიხედვით; თეთრეულის საშრობი მოედნებიდან მანძილების ნორმირება არ ხდება; მანძილები ნაგავშემკრებთა მოედნებიდან ფიზკულტურულ მოედნებამდე, მკვდრთა სათამაშოდ და სრული ასაკის მცხოვრებთა დასასვენებლად განკუთვნილ მოედნებამდე საჭიროა ნიღებულ იქნას არანაკლებ 20 მ, ხოლო სამეურნეო მიზნებისთვის განკუთვნილ მოედნებიდან საცხოვრებელ სახლის ყველაზე უფრო დაშორებულ შესასვლელამდე — არა უმეტეს 100 მ.

2. შეიძლება შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს 50 % მოედნების კუთრი ზომები: ბავშვთა სათამაშო, სრული ასაკის მცხოვრებთა და ფიზკულტურული მეცადინეობისათვის კლიმატურ რაიონებში $I^ა$, $I^ბ$, $I^დ$, $II^ა$ და $IV^ა$, $IV^ბ$, ძლიერ ქარბუქიან რაიონებში ოკი იქნება პირობები დასურული ნაგებობათა შექმნის; სამეურნეო მიზნებისთვის 9 სართულიან და უფრო მაღალ საცხოვრებელ განაშენიანებისას; ფიზკულტურული მეცადინეობისათვის როცა ხდება ერთიანი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფორმირება მიკრორაიონში მოსწავლეთათვის და მოსახლეთათვის.

2.14. პირველ სართულზე ბინებიანი საცხოვრებელი შენობები საჭიროა განლაგდნენ, როგორც წესი, წითელი ხაზიდან დახევით. საცხოვრებელი შენობების წითელ ხაზზე განლაგება დასაშვებია პირველ სართულებში საზოგადოებრივი დანიშნულების ჩაშენებული ან მიშენებული სათავსოებით, ხოლო საცხოვრებელ კუჩებში ჩამოყალიბებული განაშენიანების რეკონსტრუქციის პირობებში - პირველ სართულზე ბინებიანი საცხოვრებელი შენობების.

კარმიდამოებიან განაშენიანების რაიონებში საცხოვრებელი სახლების განლაგება კუჩების წითელ ხაზზე დასაშვებია ჩამოყალიბებული ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად.

2.15. ქალაქებში საცხოვრებელ განაშენიანების პროექტირებისას საცხოვრებელი რაიონის ან მიკრორაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებთა საანგარიშო სიმჭიდროვე, მც/ ჰა, საჭიროა მიღებულ იქნას რეგიონალურ /რესპუბლიკურ/ ნორმათა შესაბამისად, რეკომენდირებულ დანართ - 4-ის გათვალისწინებით.

ამასთანავე მიკრორაიონის მცხოვრებთა სიმჭიდროვე, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 450 მც/ ჰა.

სოფლის დასახლების სამოსახლო ტერიტორია

2.16. სოფლის დასახლების სამოსახლო ტერიტორიაზე არ უნდა განლაგდეს I, II და III კატეგორიის საავტომობილო და ასევე სასოფლო სამეურნეო მანქანათა მოძრაობისთვის და საქონლის გადასარეკად განკუთვნილი გზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.17. სოფლის დასახლებაში საჭიროა უპირატესად იყოს ერთ-ორბინიანი კარმიდამოებიანი ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია მრავალბინიანი ბლოკირებული სახლების მიწის წაკვეთებით ბინებთან, ასევე /სათანადო დასაბუთებით/ სექციური სახლებიც სიმაღლით 4 სართულამდე.

2.18. სოფლის დასახლებებში მიწის წაკვეთის ზომები სახლების-თვის /ბინებისთვის/ განისაზღვრება ადგილობრივი პირობებით და საპროექტო დავალებით მოქალაქეთა რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ზოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურისა და სახლის ტიპების გათვალისწინებით.

2.19. სადგომები საკონვეიეროთვის და ჟრიმველიოთვის საჭიროა განლაგდნენ საცხოვრებელ სათავსოთა ფანჯრებიდან მანძილზე: ერთის-თვის ან ორისთვის - არანაკლებ 15 მ, 8 ბლოკამდე - არანაკლებ 25 მ, 8-ზე მეტი - 30 ბლოკამდე - არანაკლებ 50 მ, 30 ბლოკზე მეტი - არა-ნაკლებ 100 მ.

საზოსახლო ტერიტორიის ფარგლებში განლაგებულ სადგომთა ჯგუფე-ბი უნდა შეიცავდნენ არა უმეტეს - 30 ბლოკს თითოეული.

სექციურ სახლებში ცხოვრებათათვის საკონვეიო სადგომი სამეურნეო ნაგებობების გამოიყოფა საცხოვრებელ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ; სექციურ სახლებში დასაშვებია რამეურნეობა და ცალკე მდგომ მიწისქვეშა კოლექციური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახებში მიწყობა იხ ნორმებით, რომლებიც მოცემულია ამ კრებულის პ. 3. 15-ში.

ბლოკირებულ სადგომთა გაწამებრიანების ფართობი საკონვეიოთვის არ უნდა აღემატებოდეს 800 მ^2. სადგომთა ჯგუფებს შორის მანძილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვრა საჭირო სავალდებულო დანართ 1-ის ცხრილი 1-ის მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი : 1. სოფლის დასახლებებში ბინებისთვის გამოყოფილ ნაკვეთებზე, სამეურნეო ნაგებობათა ზომები სახელმწიფო, ინდივიდუალურ და კოოპერატიულ მშენებლობებისთვის საჭირო განისაზღვროს სნ და წ 2.08.01-89 შესაბამისად.

2. დასაშვებია სნ და წ 2.08.01.89 მოთხოვნათა დაცვით საკარმიდამო ან ბლოკირებულ სახლებზე სამეურნეო ნაგებობის მიშენება /მათ შორის საქონლისათვის და ფრინველისთვის/.

2.20. სოფლის დასახლებისათვის საჭირო სამოსახლო ტერიტორიის წინასწარი განსაზღვრისთვის დასაშვებია მიღებულ იქნას შემდეგი მაჩვენებლები ერთი სახლისთვის /ბინისთვის/, ჰა, განაშენიანებისას:

საკარმიდამო ტიპის სახლებით

ნაკვეთებიანი სახლებთან /ბინებთან/

ფართობით, $მ^2$:

2000 . . . . 0,25 - 0,27
1500 . . . . 0,21 - 0,23
1200 . . . . 0,17 - 0,20
1000 . . . . 0,15 - 0,17
800 . . . . 0,13 - 0,15
600 . . . . 0,11 - 0,13
400 . . . . :0,08 - 0,11

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექციური სახლებით მიწებთან საკარმიდამო ნაკვეთების გარეშე სართულთა რიცხვებით:

2 0,02
3 0,03
4 0,04

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. ქვედა ზღვარი მიიღება მსხვილ და დიდ დასახლებებისთვის, ზედა - საშუალო და მცირეთათვის.

2. განცალკევებული სამეურნეო გასასვლელების მიწყობისას სამოსახლო ტერიტორიის ფართობი დიდება საერთოდ გადასარეკით 10 %-ით.

3. სამოსახლო ტერიტორიის ფართის გაანგარიშებისას უნდა გამოირიცხოს განაშენიანებისთვის გამოუსადეგარი ტერიტორიები: - ხევები, ციცაბო ფერდობები, კლდოვანი შვერილები, მაგისტრალური სარწყავი არხები, ღვარცოფჩამოსაშვებები, დაწესებულებების და საწარმოების მიწის ნაკვეთები, რომლებიც დასახლებათშორისო დანიშნულებისაა.

2.21. სოფლის დასახლების სამოსახლო ტერიტორიაზე მცხოვრებთა სიმჭიდროვე, მცხ/ჰა, დგინდება რესპუბლიკური ნორმებით, ხოლო მათ მომზადებამდე მიიღება სარეკომენდაციო დანართი - 5-ის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საწარმოო ტერიტორია

საკურორტო ზონა /რაიონი/

3.1. საკურორტო წარმოება, როგორც წესი, საჭიროა განთავსდეს საწარმოო ზონების /რაიონების/ ტერიტორიაზე წარმოებათა /საკურორტო ზონების/ ჯგუფის შემადგენლობაში საერთო დამხმარე საწარმოებით ან ინფრასტრუქტურის ობიექტებით, ხოლო სოფლის დასახლებებში - საწარმოო ზონათა შემადგენლობაში.

3.2. საკურორტო ზონების /რაიონების/ განთავსებისას აუცილებელია უზრუნველყოფა საცხოვრებელ რაიონებთან მათი რაციონალური ურთიერთკავშირის შრომით გადაადგილებისათვის დროის მისაღები ხარჯვით.

საკურორტო ზონების /რაიონების/ ტერიტორიათა ზომები და განთავსების ინტენსივობა საჭიროა ბიიღებოდეს ქალაქის სტრუქტურისა და ქალაქთგეგმარებითი უბნების სწორად განსაზღვრა ტერიტორიათა შეფასების და მათი განვითარების პირობების შესაბამისად.

3.3. საკურორტო ზონის ფუნქციონალურ-გეგმარებითი ორგანიზაცია საჭიროა, როგორც წესი, გათვალისწინებულ იქნეს ძირითადი და დამხმარე საწარმოებისთვის პანდემიისა და ბლოკების სახით, მრეწველობის დარგობრივი მახასიათებლების, მათი განთავსების მიმართ სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების, ტვირთბრუნვისა და ტრანსპორტის სახეობის, ასევე მშენებლობის რიგითობის გათვალისწინებით.

ამასთანავე აუცილებელია საწარმოებში მომუშავეთა ზონალური-ბის სისტემის და საკურორტო ზონის მიმდებარე საცხოვრებელ რაიონების ზოსაძლეობის ურთიერთკავშირებიანი სისტემის ორგანიზება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.4. ტერიტორია, რომელიც დაკავებულია სამრეწველო საწარმოებით და სხვა სამრეწველო ობიექტებით, დაწესებულებითა და მომსახურეობის ობიექტებით, უნდა შეადგენდეს, როგორც წესი, მთელი სამრეწველო ზონის /რაიონის/ ტერიტორიის არანაკლებ 60 %.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. სამრეწველო ზონის /რაიონის/ ტერიტორიის დაკავება განისაზღვრება პროცენტებში როგორც შეფარდება საწარმოო დაწესებულებათა და მასთან დაკავშირებული ობიექტების მოედნების ჯამისა შემოკავების საზღვრებში /ან შემოუკავებლობისას -მის შესაბამის პირობით საზღვრებში/, ასევე მომსახურეობის დაწესებულებათა იმ ფართობების ჩათვლით, რომლებიც დაკავებულია რკინიგზის სადგურებით ქალაქის გენერალური გეგმით განსაზღვრულ სამრეწველო ზონის /რაიონის/ საერთო ტერიტორიასთან.

დაკავებულ ტერიტორიებში უნდა ჩაითვალოს საწარმოს მოედანზე გათვალისწინებული სარეზერვო ნაკვეთები, რომლებიც საპროექტო დავალების შესაბამისად გამოიყოფა მათზე შენობებისა და ნაგებობების განლაგების მიზნით.

2. სამრეწველო საწარმოს ნაკვეთის ნორმატიული ზომა მიღებული უნდა იქნას მისი განაშენიანების ფართობის ტოლად. სამრეწველო საწარმოს განაშენიანების მოედნის ნორმატიული სიმჭიდროვის მაჩვენებელთან სნ და წ III - 89-80 შესაბამისად.

3.5. სამრეწველო საწარმოების განთავსება სამოსახლო ტერიტორიაზე დასაშვებია - როცა ისინი არ გამოჰყოფენ მავნე ნივთიერებას, საწარმოო პროცესებით არახანძარსაშიშია და არაფეთქებადი, არ ქმნიან

ნორმებით დასაშვებზე მეტ ხმაურს, არ ითხოვენ რკინიგზის ადგილობრივ განშტოებას. ამასთანავე მანძილი სამრეწველო საწარმოს მოედნის საზღვრიდან საცხოვრებელ შენობებამდე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების დაწესებულებების ნაკვეთებამდე საჭიროა მიღებული იყოს არანაკლებ 50 მ.

როცა საცხოვრებელ განაშენიანების ფარგლებში მდებარე საწარმოს მავნე გავლენის აღკვეთა გარემოზე შეუძლებელია, მაშინ საჭიროა სიმძლავრის შემცირება, მრეწველობის ან ცალკეულ საწარმოთა პროფილის შეცვლა ან კიდევ მათი გატანა საცხოვრებელ განაშენიანების ფარგლებს გარეთ.

3.6. სანიტარულ-დაცვითი ზონები საჭიროა გათვალისწინებულ იქნან მას შემდეგ რაც მავნე გამონაბოლქვების გასაწმენდად და ხმაურის დონის დასაწევად ჩატარებულ ყველა ტექნიკურ-ტექნოლოგიური ღონისძიების შედეგად ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამოსახლო ტერიტორიაზე მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციისა და ხმაურის დასაშვები ზღვრული დონე.

ასეთ ზონათა ზომები საჭიროა დადგინდეს სამრეწველო საწარმოთა განთავსების მომქმედი სანიტარული ნორმებისა და სსრკ სახელმწიფო ჰიდრომეტეოროლოგიურ კომიტეტის მიერ დამტკიცებულ მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში საწარმოთა გამონაბოლქვების შემადგენლობათა კონცენტრაციის მეთოდოლოგიური ანგარიშის შესაბამისად, ასევე ხმაურისგან დაცვისა და სხვა მოთხოვნათა დაცვით ამ ნორმების მე-9 განაყოფის მონაცემთა შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . გამაჯანსაღებელი, სანიტარულ-ჰიგიენური, სამშენებლო და სხვა ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებიან საწარმოს მიმდებარე გაჭუჭყიანებულ ტერიტორიის გარემო სფეროს დაცვასთან, მათ შორის სანიტარულ-დამცველი ზონების შექმნაც, უნდა მოხდეს მავნე გამონაბოლქვების მქონე საწარმოს ხარჯზე.

3.7. საბრეწველო რაიონებში, რომლებიც დაცილებული არიან სამოსახლო ტერიტორიიდან სანიტარულ-დაცვითი ზონით - სიგანით 1000 ბეჭრი და მეტი, არ უნდა იქნან ჩართული საწარმოები სანიტარულ-დაცვითი ზონებით 100 მეტრამდე, - განსაკუთრებით კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები.

3.8. სანიტარულ-დაცვით ზონაში დაუშვებელია საცხოვრებელ-შენობათა, საბავშვო დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ჯანმრთელობისა და დასვენების დაწესებულებების, სპორტული ნაგებობების, ბაღების, პარკების, სამებაღეო ამხანაგობების და ბოსტნების განლაგება.

3.9. სანიტარულ-დაცვითი ზონის გამწვანების მინიმალური ფართობი საჭიროა მიღებულ იყოს ზონის საგანის მიხედვით, % :

300 მეტრამდე	60
300-ზე მეტი - 1000 მეტრამდე	50
1000-ზე მეტი- 3000 მეტრამდე	40

სამოსახლო ტერიტორიის მხრიდან აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ხე-ბუჩქთა ნარგავების ზოლი სიგანით არანაკლებ 50 მ, ხოლო როცა სიგანე ზოლისა 100 მ და - არანაკლებ 20 მ.

3.10. საწარმოთა ნარჩენებისა და ნაყარების შესაგროვებელთა, შეამოგროვებელთა და ნარჩენშესანახთა მოწყობა დასაშვებია მხოლოდ

მათი უტილიზაციის შეუძლებლობის დასაბუთების შემთხვევაში; ამასთანავე სამრეწველო რაიონებისა და კვანძებისთვის, როგორც წესი, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ცენტრალიზებული /ჯგუფური/ ნ ა ყ ა რ ე ბ ი. უბნები მათთვის საჭიროა გამოიყოს სანიტარული ნორმების დაცვით, ასევე სსრკ სახმშენის მიერ დამტკიცებულ ან შეთანხმებულ უსაფრთხოების ნორმების ანდა წესების შესაბამისად საწარმოებისა და მიწისქვეშა წყაროების სანიტარული დაცვის II სარტყელის გარეთ.

ნაყარები, რომლებიც შეიცავენ ნახშირს, ფიქლებს, დარიშხანს, ტყვიას, ვერცხლისწყალს და სხვა აალებად და ტოქსიკურ ნივთიერებებს, უნდა განთავსდნენ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებიდან და ნაგებობებიდან ანგარიშით განსაზღვრულ მანძილზე, მაგრამ ნაყართა არაუახლოეს საანგარიშო სახიფათო გადანაცვლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო ზონა
/ რაიონი/

3.11. სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო ზონის ტერიტორიაზე საჭიროა განთავსდეს მეცნიერების და სამეცნიერო მომსახურეობის, საცდელი საწარმოები და მასთან დაკავშირებული უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებები, დაწესებულებები და მომსახურეობის საწარმოები, ასევე საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციები და ნაგებობები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო ზონის შეშადგენლობა და ცალკეულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებისა და საცდელ საწარმოთა განთავსების პირობები საჭიროა განისაზღვროს გარემოზე გავლენის ფაქტორთა გათვალისწინებით.

3.12. სამეცნიერო-საწარმოო ზონის მომუშავეთა რიცხობრიობა, განთავსებული სამოსახლო ტერიტორიის ფარგლებში, არ უნდა აღემატებოდეს 15 ათას ადამიანს.

3.13. სამეცნიერო დაწესებულებათა მიწის ნაკვეთების ზომები საჭიროა მიღებულ იქნას /1000 კვადრატულ მეტრზე საერთო ფართობით/, ჰა, არა უმეტეს:

საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა 0,14-0,2
საზოგადოებრივ მეცნიერებათა: 0,1-0,12

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. მოყვანილ ნორმაში არ ჩაითვლებიან საცდელი მინდვრები, პოლიგონები, სარეზერვო ტერიტორიები, სანიტარულ-დაცვითი ზონები.

2. მაჩვენებელთა უმცირესი მნიშვნელობები საჭიროა მიღებულ იქნას მსხვილ და უმსხვილეს ქალაქებისთვის და სარეკონსტრუქციო პირობებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალურ - სასაწყობო ზონა
/ რაიონი/

3.14. კომუნალურ-სასაწყობო ზონების /რაიონების/ტერიტორიებზე საჭიროა განთავსდეს კვების /ვემოკვების, ხორცისა და რძის/ მრეწველობის, საერთოსასაქონლო /სასურსათო და არასასურსათო/, სპეციალიზირებული საწყობები /მაცივრები, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის სანახები/, და ქალაქის კომუნალურ, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოები.

სასაწყობო კომპლექსების სისტემები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მოსახლეობის უშუალო ყოველდღიურ მომსახურეობასთან, საჭიროა განთავსდნენ მსხვილ და უმსხვილეს ქალაქების ფარგლებს გარეთ, საგარეო ტრანსპორტის კვანძებთან მიახლოვებულად, უპირატესად რკინიგზის ტრანსპორტთან.

ქალაქებისა და მათი მწვანე ზონების ტერიტორიებს გარეთ სანიტარულ, ხანძარსაწინაღო და სპეციალური ნორმების დაცვით ქალაქის საგარეუბნო ზონის განსაკუთრებულ სასაწყობო რაიონებში საჭიროა სახელმწიფო რეზერვების საწყობთა განცალკევებული განთავსება. მათ შორის, ნავთისა და ნავთობპროდუქტების პირველი ჯგუფის საწყობების, ნავთისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ბაზების, თხევად გაზთა საწყობების, ფეთქებად ნივთიერებათა საწყობების და ძლიერმომქმედი საწამლავ ნივთიერებათა საბაზისო საწყობების, სურსათის საბაზისო საწყობების, ფურაჟისა და სამრეწველო ნედლეულის, ხე-ტყისა და საშენებლო მასალების საბაზისო საწყობთა ხე-ტყე გადასატვირთავი ბაზების.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. პატარა ქალაქებისა და სოფლების დასახლებებისთვის საჭიროა გათვალისწინება ცენტრალიზებული საწყობების, რომლებიც მოემსახურებიან დასახლებათა ჯგუფს. ამ საწყობთა განლაგება უპირატესად უნდა მოხდეს რაიონულ ცენტრებში ან რკინიგზის სადგურთან მდებარე დასახლებებში.

2. შეზღუდულ ტერიტორიულ რესურსების მქონე და კარგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიან რაიონებში, სადაც არის ობიექტთა განსაღაგებლად ღირებული მიწის ნაკვეთებისა და ნედლეულთა გარნუშავებების ადგილები დასაშვებია სასურსათო და საპრეზენტაციო საქონლის შესანახთა, ჯასდებული დოკუმენტაციის, განსანაწილებელი ნაცვრების და სხვა ობიექტების მშენებლობის განხორციელება, რამდენადაც ისინი მოითხოვენ გარეთა ზემოქმედებისგან მდგრად დაცვას და ფუნქციონირების საიმედოობას.

3.15. ცივის წაკვეთების საანგარიშო ზომები იმ საწყობებისთვის, რომლებიც გაწკუთვნილი არიან დასახლებათა მომსახურეობისათვის, დასაშვებია მიღებულ იქნას უნსხვილეს და მსხვილ ქალაქებში მრავალსართულიან საწყობთა მშენებლობის გათვალისწინებით 2 მ^2 ერთ მოსახლეზე, ხოლო დანარჩენ დასახლებებში - 2,5 მ^2.

ქალაქ -კურორტებში სანკურნალიდ მყოფთა და დასვენებელთა მომსახურე კომუნალურ-სასაწყობო ზონების ფართობები საჭიროა მიღებულ იქნას საანგარიშოდ 6 მ^2 ყოველ ერთ სანკურნალიდ მყოფზე ან დასვენებელზე, ხოლო ამ ზონებში ორანჟერეებისა და სათბურების მეურნეობათა განლაგებისას - 8 მ^2 .

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო სურსათის კოლექტიურ შესანახების საერთო ფართობი განისაზღვრება ანგარიშით 4-5 $მ^2$ ერთ ოჯახზე. ოჯახების რიცხვი, რომლებიც ისარგებლებენ შესანახებით, დგინდება საპროექტო დავალებით.

ბიწის ნაკვეთების ზომები, მოედნები, საერთოსასაქონლო და სპეციალიზირებულ სამეურნეობების ტერიტორია, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, საბოსტნისა და სანშენებლო მასალების შესანახად, დასაშვებია მიღებულ იქნას იმ რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია დანართ №-ში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . კარტოფილის, ბოსტნეულის და ხილის შესანახების სანიტარულ-დაცვითი ზონების ზომები საჭიროა მიიღებოდეს - 50 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის დასახლების საწარმოო ზონა

3.16. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების განთავსებისას ზანძიები მათ შორის საჭიროა დაინიშნოს მინიმალურად დასაშვებები სანიტარული, ვეტერინარული, სანძარსაწინააღმდეგო... მოთხოვნათა და ტექნოლოგიური პროექტირების ნორმებიდან გამომდინარე. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მოედნების განაშენიანების სიმჭიდროვე უნდა იყოს არანაკლებ მოცემულისა სნ და წ II -97-76.

3.17. ელექტროგადამცემი ხაზები, კავშირგაბმულობისა და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის სახაზო ნაგებობები საჭიროა განთავსდნენ თესლბრუნვითი მინდვრების საზღვრებზე, გზების, ტყეზოლების, და არსებული ტრასების გასწვრივ, იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილი იყოს თავისუფალი მისასვლელი კომუნიკაციებთან, იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც დაკავებული არ იქნებიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.

3.18. საწარმოო ზონა, როგორც წესი, არ უნდა იყოს დაყოფილი განცალკევებულ ნაკვეთებად საერთო ცსელის სარკინიგზო ან საავტომობილო გზებით.

სასოფლო დასახლებების საწარმოო ზონების განცალკევებულ მიწის ნაკვეთზე საჭიროა განთავსდეს საწარმოები და ობიექტები, რომელთა სანიტარულ-დაცვითი ზონების ზომები მეტია 300 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწდმაფხურ-სარეკრეაციო ტერიტორია

დაწდმაფხური არქიტექტურა და საბაღო-საპარკო მშენებლობა

4.1. ქალაქებისა და სოფლების დასახლებებში საჭიროა ეთვალისწინებულ იქნას, როგორც წესი, ტერიტორიების გამწვანების და სხვა ღია სივრცეთა მოწყობის უწყვეტი სისტემა. ქალაქების განაშენიანების ფარგლებში სხვადასხვა დანიშნულების გამწვანებული ტერიტორიათა კუთრი წონა /განაშენიანებული ტერიტორიის გამწვანების დონე/ უნდა იყოს არანაკლებ 40 %, ხოლო საცხოვრებელი რაიონის ტერიტორიის საზღვრებს შიგნით არანაკლებ 25 % /მიკრორაიონის ტერიტორიის მთლიანად გამწვანებული ფართობის ჩათვლით/.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა :

1. ტუნდრის, ტყე-ტუნდრის, უდაბნოს და ნახევარუდაბნოთა ზონებში ტერიტორიათა გამწვანების დონე განაშენიანების ფარგლებში უნდა დადგინდეს რეგიონალური ნორმების შესაბამისად.

2. ქალაქებში, რომელთა სახარჯოებსაც სჭირდებათ სანიტარულ-დაცვითი ზონები სიგანით 1 კმ-ზე მეტი, განაშენიანების ტერიტორიის გამწვანების დონე საჭიროა გადიდდეს არანაკლებ 15 %.

4.2. ქალაქისა და სოფლის დასახლებათა სამოსახლო ტერიტორიებზე განთავსებული საერთო სარგებლობის პარკების, ბაღების, სკვერების, ბულვარების გამწვანებული ტერიტორიათა ფართობები საჭიროა მიღებულ იქნან ცხრილი - 3 მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმსხვილეს, მსხვილ და დიდ ქალაქებში საქალაქო ტყეთა არსებული მასივები საჭიროა გარდაქმნილ იქნან ქალაქის ტყეპარკებად და ცხრილი 3-ში საერთო სარგებლობის გამწვანებულ ტერიტორიათა მოწაცემები დამატებით გადიდდენ იმ ანგარიშით, რომ 1 იყოს არაუნაკლებ 5 მ²/მცხ-ზე.

ცხრილი 3

საერთო სარგებლობის ტერიტორიის გამწვანება	გამწვანებული ტერიტორიათა ფართობები მ²/მცხ.			
	უმსხვილეს, მსხვილ და დიდ ქალაქებში	საშუალო ქალაქებში	პატარა ქალაქებში	სოფლის დასახლებებში
საერთოსაქალაქო	10	7	8 /10/ X	1.
საცხოვრებელი რაიონების	6	6	-	-

X/ ფრჩხილებში ნაცემია ზომა პატარა ქალაქებისათვის - მოსახლეობის რიცხობრიობით 20 ათას მცხოვრებამდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. ქალაქ-კურორტებისათვის, საერთოსაქალაქო გამწვანებული საერთო სარგებლობის ტერიტორიათა მოცემული ნორმები საჭიროა გადიდდენ, მაგრამ არა უმეტეს 50%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დასახლებებში საერთო სარგებლობის გამწვანების ტერიტორიათა ფართობები შეიძლება შემცირდეს ტუნდრებსა და ტყეტუნდრებში 2 $га^2$- მდე/მცხ.; ნახევრადუდაბნოებსა და უდაბნოებში - 20-30 %; გადიდდეს სტეპებისა და ტყესტეპებისთვის 10-20 %.

3. საწყარო და პატარა ქალაქებში, სოფლის დასახლებებში, განთავსებული ტყეების გარშემორტყმით, დიდ მდინარეთა და წყალსაცავთა სანაპირო ზონებში, საერთო სარგებლობის გამწვანებულ ტერიტორიათა ფართობი დასაშვებია შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს 20 %.

4.3. გამწვანებულ ტერიტორიათა სტრუქტურაში საერთო სარგებლობის პარკები და ტყეპარკები 0,5 კმ და მეტი სიგანით უნდა იყოს არანაკლებ 10 %.

ქალაქის პარკში მისვლის დრო უნდა იყოს არა უმეტეს 20 წუთისა, ხოლო გეგმარებით რაიონების პარკებში - არა უმეტეს 15 წუთისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : სეისმურ რაიონებში აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს პარკებში, ბაღებში და სხვა საერთო მოსახურეობის გამწვანებულ ტერიტორიებზე თავისუფალი შესვლა. დაუშვებელია მათ, შემოკავება საცხოვრებელი რაიონების მხრიდან.

4.4. პარკებში, ტყეპარკებში, ტყეებში, მწვანე ზონებში ერთდროულად მოსვლელთა საანგარიშო რიცხვი საჭიროა მიღებულ იქნას, კაც/ჰა, არა უმეტეს:

ქალაქის პარკებისთვის	100
დასვენების ზონის პარკებისთვის . .	70
კურორტების პარკებისთვის	50
ტყეპარკებისთვის /მდელოპარკების, ჰიდროპარკების/	10
ტყეებისთვის	1-3

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოს ზონაში აღნიშნული ნორმები საჭიროა შემცირდეს 20 %.

2. როდესაც ერთდროულად მომსვლელთა რიცხვი აღწევს 10-50 ადამიანს /ჰექტარზე, მაშინ აუცილებელია გათვალისწინება გზა-ბილიკთა ქსელისა, რომ ორგანიზებული ხასიათი მიეცეს მათ მოძრაობას, ხოლო ტყის ველობების პირებზე დაირგას ნიადაგდამცველი ნარგავები, როცა ერთდროულად მომსვლელთა რიცხვი 50 ადამიანია /ჰექტარზე და მეტი - საჭიროა ღონისძიებათა ჩატარება ტყის ლანდშაფტის საპარკოდ გარდაქმნის მიზნით.

4.5. უმსხვილეს, მსხვილ და დიდ ქალაქებში ქალაქისა და რაიონის მნიშვნელობის პარკებთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სპეციალიზირებული - საბავშვო, სპორტული, საგამოფენო, ზოოლოგიური და სხვა პარკები, ბოტანიკური ბაღები, რომელთა ზომები საჭიროა განისაზღვროს საპროექტო დავალებით.

საბავშვო პარკების საორიენტაციო ზომები დასაშვებია მიღებულ იქნას ანგარიშით 0,5 $მ^2$/ მცხ., სპორტული პარკების - 12 $მ^2$/ მცხ.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სპორტულ მოედნებისა და ნაგებობების ჩათვლით, რომელთა საანგარიშო ნორმები მოცემულია სარეკომენდაციო დანართ 7-ში.

4.6. იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ბაღდება ბუნებრივ ლანდშაფტთა შენარჩუნების დონე და რომლებსაც გააჩნიათ ესთეტიკური და შემეცნებითი ფასეულობა, საჭიროა ნაციონალურ და ბუნებრივ პარკების ფორმირება. ნაციონალურ და ბუნებრივ პარკთა არქიტექტურულ-სივრცითი ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს მათი ტერიტორიის გამოყენებას სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სარეკრეაციო მიზნებისათვის და როგორც წესი, საბაკრძალო, საბაკრძალო-სარეკრეაციო, სარეკრეაციო და საბუნიერო მიზნების გამოყოფით.

4.7. პარკებისა და ბაღების გაწყობისას საჭიროა მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნას უბნები არსებული წარგავებითა და წყალსატევებით.

პარკების, ბაღების და სკვერების ტერიტორიათა ფართობები საჭიროა მიიღებოდეს, ჰა-ში, არანაკლებ: ქალაქის პარკების 15, გეგმარებითი რაიონების პარკების - 10, საცხოვრებელ რაიონთა ბაღების- 3, სკვერების - 0,5; სკვერების ფართობები სარეკონსტრუქციო პირობებისათვის შეიძლება იყოს ნაკლები მიღების.

პარკებისა და ბაღების ტერიტორიის საერთო ბალანსში გამწვანებულ ტერიტორიათა ფართობები საჭიროა მიყენებული იყოს არანაკლებ 70 %. ტუნდრისა და ტყეტუნდრის ზონის ქალაქებისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნას უპირატესად ბაღები და სკვერები ფართობით 1 - 1,5 ჰა-მდე; ასევე - შენობებში გამთბარის ბაღები.

4.8. ნოღების ტერიტორიებზე პარკების მშენებლობისას აუცილებელია დაცულ იქნას ამ ნორმების მე-8 განაყოფისა და სნ და წ 2.06. 15-85 : მოახლენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.9. ბუღარები და ფეხით სავალი ხიდები საჭიროა მოეწყოს ფეხით მიმავალთა მასიური ნაკადის მოძრაობის მიმართულებით. ბუღვარის განიგების, მისი სიგრძე და სიგანე, ასევე ადგილი ტბორის გაწმენდ კვეთში საჭიროა განისაზღვროს ტბორისა და მისი განაშენიანების არქიტექტურულ გეგმარებითი გადაწყვეტის გათვალისწინებით. მცირეხნიან წესვენებისთვის ბუღვარებსა და ფეხით სავალ ხიდებში საჭირო მოედნების გათვალისწინებაა საჭირო.

ერთი გრძივი ფეხით სავალი ხიდისას ბუღვარის სიგანე საჭიროა იყოს , მ, არანაკლებ, გაწიაგებულების:

ტბორის ღერძზე 18

ტბორის ერთ მხარეს სავალ ნაწილსა და განაშენიანებას შორის 10

4.10 საერთო სარგებლობისთვის გამწვანებული ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი და მასზე უნდა განლაგდეს მცირე არქიტექტურული ფორმები: შადრევნები და აუზები, კიბეები, პანდუსები, საყრდენი კედლები, სასაუბროები, სანახურები და სხვ. სანაფურების რიცხვი განისაზღვრება ტერიტორიის განათების ნორმებით.

4.11. დანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის საგზაო ქსელის /გზები, ხიდები, ბილიკები/ ტრასირება საჭიროა შესაძლებლობისდაგვარად მოხდეს მინიმალური ქანობებით ფეხითმოსიარულეთა მოძრაობის მთავარ მიმართულებათა მიხედვით და გარეშების პუნქტებამდე, საოპაშო და სპორტულ მოედნებამდე უმოკლეს მანძილთა განსაზღვრით. გზის სიგანე უნდა იყოს 0.75 მ-ის ჯერადი /ერთი ადამიანის საშოძრაო ხაზის სიგანის/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეანდშაფტურ-საკურორტო ტერიტორიის ფარგლებში მოედანზე, გზა-ბილიკზე ქსელის დაფარვა საჭიროა მოეწყოს ფიქლებისაგან, ლორღისა და სხვა მტკიცე მინერალურ მასალებისგან, განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია ასფალტით დაფარვა.

4.12. მანძილები შენობებიდან, ნაგებობებიდან, ასევე საინჟინრო კეთილმოწყობის ობიექტებიდან ხეებამდე და მუჩქნარებამდე საჭიროა განისაზღვროს ცხრილი 4-ის მიხედვით.

ცხრილი 4

შენობა, ნაგებობა, საინჟინრო კეთილმოწყობის ობიექტი	მანძილები, მ, შენობებიდან, ნაგებობებიდან, ობიექტების ღერძამდე	
	ხის შტამბამდე	მუჩქნარებამდე
გარე კედელი შენობის, ნაგებობის	5,0	1,5
ტროტუარის ვაკისის კიდე	5,0	3,0
ტროტუარი და ბაღის გზა	0,7	0,5
ქუჩის საავტო ნაწილის კიდე, გზის გვერდულის ან არხის კიდის გამაგრებული ბორი	2,0	1,0
ანძა და განათების ქსელის საყრდენი, ტრანსფორმატორის, ხიდის და ესტაკადის საყრდენი	4,0	-
ქანობის, ტერასის და სხვ. ძირი	1,0	0,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყრდენი კედლის ძირი ან შიგნითა კიდე	3,0	1,0
მიწისქვეშა ქსელები:		
გამსადენი, კანალიზაცია	1,5	-
სითბური ქსელი /არხის, გვირაბის კედელი ან უარხო გაყვანილობისას - გარსი/	2,0	1,0
წყალსადენი, დრენაჟი, ძაღური კაბელი და კავშირგაბმულობის კაბელი	2,0	0,7

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. აქ მოცემული ნორმები ეხება ხეებს, რომელთა ვარჯის დიამეტრი არის არა უმეტეს 5 მ, ხოლო უფრო დიდი ვარჯის მქონე ხეებისთვის ისინი უნდა გადიდებულ იქნან.

2. მანძილები საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებიდან ხეებამდის საჭიროა განისაზღვროს ელექტროდანადგართა მოწყობის წესების შესაბამისად.

3. ხეები, დარგულები შენობებთან, არ უნდა უშლიდნენ ხელს ინსოლაციასა და განათებულობას საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სათავსოებისა, იმ მოხაზვათა ფარგლებში, რომლებიც მოცემულია ამ ნორმების მე-9 განაყოფში.

4.13. ქალაქების მწვანე ზონებში საჭიროა გათვალისწინება ხეებისა და ბუჩქნართა სანერგეებისა და საყვავილე-სატრანშეიო

მეურნეობის, იმ ვარაუდით რომ სანერგე მასალით უზრუნველყოფა მოხდება ქალაქებისა და სოფლის დასახლებათა ჯგუფების. სანერგის ფართობი უნდა იყოს არანაკლები 80 ჰა.

სანერგის ფართობი საჭიროა დადგინდეს ანგარიშით – 3-5 მ²/მცხ., იმისდა მიხედვით თუ რა დონეზეა მცხოვრებთა უზრუნველყოფა საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიებით, სანიტარულ-დაცვითი ზონებით, როგორია სამრეწველო აწარმოებათა განვითარება და ბუნებრივ-კლიმატური და სხვა ადგილობრივი პირობები. საყვავილე-საორანჟერეო მეურნეობათა საერთო ფართობი საჭიროა მიღებულ იქნას ანგარიშით – 0,4 მ² /მცხ.

დასვენების და საკურორტო ზონები

4.14. მოკლე დროით მასიური დასვენების ზონების განთავსება საჭიროა მოხდეს საზოგადო ტრანსპორტით ამ ადგილებში მიღწევის გათვალისწინებით, და იგი, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 1,5 საათს.

დასვენების ზონათა ტერიტორიების ზომები საჭიროა მიღებულ იქნას ანგარიშით – 500-1000 მ² ერთ მომსვლელზე, მათ შორის მისი ინტენსიური დასვენების ნაწილი, განკუთვნილი დასვენების აქტიური სახეობებისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100 მ² ერთ მომსვლელზე.

მოკლე დროით მასიური დასვენების ზონის უბნის ფართობი საჭიროა განისაზღვროს არანაკლებ 50 ჰა, უდაბნოებისა და ნახევრად-უდაბნოების ზონებში – არანაკლებ 30 ჰა.

სანატორიუმებიდან, ბავშვთა ბანაკებიდან, სკოლაბდელ სანატორიულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებიდან, სამედიცინო ამბულატორიებიდან, საერთო ქსელის საავტომობილო გზებიდან და რკინიგზებიდან დასვენების ზონები საჭიროა განლაგდნენ არანაკლებ 500 მ მანძილზე, ხოლო დასასვენებელი სახლებიდან- არანაკლებ 300 მ.

4.15. ტყეპარკების საზღვრებთან, დასვენებისა და საკურორტო ზონებთან განლაგებული ავტომობილების სადგომების ზონები საჭიროა განისაზღვროს საპროექტო დავალებით, ხოლო მოსაცემების უქონლობისას - სარეკომენდაციო დანართ - 9-ით.

4.16. საკურორტო ზონა უნდა იყოს განლაგებული ისეთ ტერიტორიებზე, რომლებსაც გააჩნიათ მუნებრივი სამკურნალო თვისებები, კარგი მიკროკლიმატური, ეანდშაფტური და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. მის ფარგლებში უნდა განლაგდეს სანიტარულ-საკურორტო, გამაჯანსაღებელი, დასვენებისა და ტურიზმის დაწესებულებები, დაწესებულებები და საწარმოები რომლებიც მოემსახურებიან სამკურნალოდ ჩამოსულთ და დამსვენებლებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება საზოგადო ცენტრების ფორმირება, მათ შორის საერთოსაკურორტო ცენტრების, საკურორტო პარკებისა და სხვა საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიების, პლაჟების.

4.17. საკურორტო ზონების პროექტირებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას:

ბანგრძივი დასვენებისთვის განკუთვნილი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულების განთავსება ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ხმაურის დასაშვები დონეა; სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებები ბავშვთათვის უნდა განლაგდნენ მოგრძილთათვის განკუთვნილ

დაწესებულებებიდან იზოლირებულად, მწვანე ნარგავთა გამცალკავებელი ზოლით, სიგანით არანაკლებ 100 მ;

იმ სამრეწველო და კომუნალურ-სასაწყობო ობიექტების, საცხოვრებელი განაშენიანებისა და საზოგადოებრივ ნაგებობათა გატანა, რომლებიც დაკავშირებულები არ არიან სამკურნალოდ მყოფთა და დამსვენებელთა მომსახურებასთან;

ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა და ტრანზიტული სატრანსპორტო ნაკადების სრული გამორიცხვა.

სანატორულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი განაშენიანების განთავსება საჭიროა საკურორტო ზონის გარეთ, იმ პირობით, რომ სამუშაო ადგილამდე სავალი მანძილის გავლა შეიძლებოდეს 30 წუთის ფარგლებში.

4.18. ერთგვაროვანი და ერთმანეთთან პროფილით მახლობელი სანატორულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, განთავსებულები საკურორტო ზონის ფარგლებში, როგორც წესი, საჭიროა გაერთიანდნენ კომპლექსში, რომ უზრუნველყოფილ იქნას ცენტრალიზებული სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მომსახურეობა და ერთიანი არქიტექტურულ-სივრცობრივი გადაწყვეტები.

4.19. მანძილები ახლადპროექტირებად სანატორულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა განსათავსებელ მიწის ნაკვეთების საზღვრებამდე საჭიროა მიღებულ იქნას მ, არანაკლებ:

კომუნალურ მეურნეობების დაწესებულებათა საცხოვრებელ განაშენიანებამდე და საწყობებამდე /რეკონსტრუქციის პირობებში არანაკლებ 100 მ/ 500;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავტომობილო გზებამდე,
მათ კატეგორიებისას:

I, II, III 500

IV 200

მებაღეობის ამხანაგობამდე 300

4.20. საკურორტო ზონათა საერთო სარგებლობის ტერიტორიათა ზომები საჭიროა განისაზღვროს ანგარიშით, სანატორიუმ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულების ერთ ადგილზე, მ²: საერთოსაკურორტო ცენტრებისთვის - 10, გამწვანებულთათვის - 100,

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ყირიმის, კავკასიის და შაიტიისპირეთის მღვისპირა საკურორტო ზონების კურორტების, ასევე მთიან კურორტთა საერთო სარგებლობის გამწვანებულ ტერიტორიათა ზომები დასაშვებია შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს 50 %.

4.21. საკურორტო ზონებსა და დასვენების ზონებში განლაგებულ პლაჟების ტერიტორიათა ზომები საჭიროა მიღებულ იქნას ერთ მოსვენებელზე მ², ასანაკლებ:

საბღვაო 5

მდინარეებისა და ტბების მიმდებარე . . . 8

საბღვაო, მდინარეებისა და ტბების
მიმდებარე /ბავშვთათვის/ 4

მდინარეებისა და ტბების მიმდებარე პლაჟების ზომები, რომლებიც განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისთვის ვარგის მიწებზე, - უნდა განისაზღვრონ ანგარიშით - 5 მ² ერთ მოსვენებელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყობაშეზღუდულ ავადმყოფთა სამკურნალო სპეციალიზირებულ პაკუების ტერიტორიათა ბომები საჭიროა მიღებულ იქნას ანგარიშით 8 - 12 მ² ერთ მომსვლელზე.

პაკუის სახმელეთო ზოლის მინიმალური სიგრძე ერთი მომსვლელისთვის საჭიროა მიღებულ იქნას, მ, არანაკლებ: ზღვისპირა პაკუთათვის - 0,2, მდინარისპირა და ტბისპირა პაკუათათვის - 0,25.

პაკუებზე ერთდროულად მომსვლელთა რიცხვი საჭიროა გაანგარიშდეს პაკუთა ერთდროული დატვირთვის კოეფიციენტების მიხედვით:

სანატორიუმებისათვის	0,6 - 0,8
დასვენებისა და ტურიზმის დაწესებულებებისათვის	0,7 - 0,9
ბავშვთა ბანაკებისათვის	0,5 - 1,0
ადგილობრივი ბუსახლეობის საერთო სარგებლობისათვის	0,2
უსაკმაროდ დამსვენებელთათვის	0,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მომსახურეობის დაწესებულებები და საწარმოები

5.1. მომსახურეობის დაწესებულებები და საწარმოები საჭიროა განლაგდნენ ქალაქებისა და სოფლის დასახლებების ტერიტორიებზე ისე, რომ მიახლოებულები იყოს საცხოვრებლებთან და სამუშაოსთან; საგზაო ქსელის ფორმირება, როგორც წესი, გათვალისწინებულ უნდა იქნას საგზაო ქსელის გათვალისწინებით.

მომსახურეობის დაწესებულებებისა და საწარმოთა განაწარიშებისთვის საჭირო გათვალისწინებულ იქნან უზრუნველყოფის სოციალური ნორმატივები, რომელთა დამუშავებაც ხდება დადგენილი წესით. საორიენტაციო ანგარიშებისთვის მომსახურეობის დაწესებულებისა და საწარმოების რიცხვი და მათი ტიპის ნაკვეთების ზომები შეიძლება მიღებულ იქნას სარეკომენდაციო დანართ 7 მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . მომსახურეობის დაწესებულებებისა და საწარმოებისთვის გაწკუთვნილ იმ ტიპის ნაკვეთების განთავსება, ტევადობა და ზომები, რომლებიც ნაჩვენები არ არის ამ განყოფილებში და სარეკომენდაციო დანართ 7, საჭიროა მიღებულ იქნას საპროექტო დავალების მიხედვით.

5.2. განთავსების სისტემათა ქალაქ-ცენტრებში მომსახურეობის დაწესებულებათა და საწარმოთა რიცხვის, შემადგენლობით და ტევადობის განსაზღვრისათვის საჭიროა დამატებით გათვალისწინებულ იქნას სხვა ქალაქებიდან და დასახლებულ ადგილებიდან ჩამომსვლელები, დიდ, მსხვილ და უმსხვილეს ქალაქ-ცენტრების იმ ზონებიდან, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განლაგებული არიან მიმოსვლისთვის დროის შეზღუდული ხარჯვის ადგილებში - არა უმეტეს 2 საათით, პატარა და საშუალო ქალაქ-ცენტრები ან განსახლების ქვეცენტრთა სისტემები - არა უმეტეს 1 საათისა; ისტორიულ ქალაქებში საჭიროა ასევე მხედველობაში მიღებულ იქნან ტურისტებიც.

5.3. სოფლის დასახლებებში მომსახურეობის დაწესებულებები და საწარმოები საჭიროა განთავსდნენ იმ არგარიშით, რომ დასახლების ყოველი მცხოვრები უზრუნველყოფილი იყოს პირველადი საცილებლობის მომსახურეობით ფეხით სასიარულო ზონაში არა უმეტეს 30 წუთის სავალზე. უფრო მაღალი დონის მომსახურების ობიექტებით უზრუნველსაყოფად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სოფლის დასახლებათა ჯგუფებისთვის სტაციონარული შენობების გარდა მომსახურეობის ორგანიზებისთვის აუცილებელია სეზონური გამოყენების მოძრავი საშუალებებისა და წაგებობების გათვალისწინება, მათთვის საჭიანდო მოედნების გამოყოფით.

5.4. საცხოვრებლე განაშენიანებებში განთავსებული დაწესებულებების და საწარმოების მოსახლეობის მომსახურეობის რადიუსი, როგორც წესი, საჭიროა მიღებულ იქნას არა უმეტეს ნაჩვენებისა ცხრილ 5-ში.

5.5. მანძილები მომსახურეობის დაწესებულებებისა და საწარმოთა შენობებიდან და მიწის ნაკვეთთა საზღვრებიდან საჭიროა მიღებულ იქნას არანაკლებ მოცემულისა ცხრილ 6-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 5

მომსახურეობის დაწესებულებები და საწარმოები	მომსახურეობის რადიუსი, მ.
სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები[1]:	
ქალაქებში	300
სოფლის დასახლებებში და პატარა ქალაქებში, ერთ და ორსართულიან განაშენიანებისას	500
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები [1]	750 /500 დაწყებით კლასებისათვის/
საავადმყოფო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მეცადინეობისათვის	500
საცხოვრებელ რაიონთა ფიზკულტურულ-სპორტული ცენტრები	1500
პოლიკლინიკები და მათი ფილიალები ქალაქებში[2]	1000
რძის წაწარმის საამქაროს განმანაწილებელი პუნქტი	500
იგივე, ერთ და ორსართულიან განაშენიანებისას	800
სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოები:	
ქალაქების განაშენიანებისას:	
მრავალსართულიანი	500
ერთ, ორსართულიანი	800
სოფლის დასახლებებში . . .	2000
კავშირგაბმულობის განყოფილებები და მემონაცვლე მანქის ფილიალები	500

1. მომსახურეობის აქ ნაჩვენები რადიუსი არ ვრცელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალიზებულ და გამაჯანსაღებელ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე, ასევე საერთო ტიპის სპეციმირებულ საბავშვო ბაგა-ბაღებზე და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე /ენის, მათემატიკის, სპორტული და ა.შ./.

2. სოფელ ადგილებში პოლიკლინიკების, ამბულატორიების, საფელშო-სამეანო პუნქტების და ფაფიაკების მისაწვდომობა მიიღება 30 წუთის ფარგლებში /ტრანსპორტის გამოყენებით/.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი : 1. $I^{ა}$, $I^{ბ}$, $I^{გ}$, $I^{დ}$ და $II^{ა}$ კლიმატურ ქვერაიონებისთვის, ასევე რთული რელიეფის პირობებში, უდაბნოებისა, ნახევარუდაბნოების ზონებში ცხრილში ნაჩვენები მოსახურეობის რადიუსები საჭიროა შემცირებულ იქნან 30 %.

3. დაწყებითკლასებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მისასვლელი გზები არ უნდა იკვეთებოდნენ ერთ დონეზე მაგისტრალური ქუჩების სავალ ნაწილთან.

ცხრილი 6

მომსახურეობის დაწესებულებისა და საწარმოთა /მიწის ნაკვეთები/ შენობები	მომსახურეობის დაწესებულებისა და საწარმოების შენობებიდან /ნაკვეთების საზღვრებიდან/ მანძილები, მ.			
	წითელ ხაზიდან		საცხოვრებელი სახლების კედლებამდე	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო სკოლამდელი და სამკურნალო დაწესებულებების შენობებამდე
	ქალაქებში	სოფლის დასახლებებში		
საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები /შენობების კედლები/	25	10	განათებისა და ინსოლაციის ნორმებით	
მეორადი ნედლეულის მიმღები პუნქტები	–	–	20[X]	50
სახანძრო დეპო	10	10	–	–
ტრადიციული დაკრძალვის სასაფლაოები და კრემატორიუმები	6	6	300	300
კრემაციის შემდგომ დაკრძალვის სასაფლაოები	6	6	100	100

X შესასვლელებითა და ფანჯრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისა და ახლად განსათავსებელ საავადმყოფოების ნაკვეთები არ უნდა ემიჯნებოდნენ უშუალოდ მაგისტრალურ ქუჩებს.

2. ტრადიციული დაკრძალვის სასაფლაოს დასურვიდან, უკანასკნელი დასაფლავებიდან 25 წლის გავლის შემდეგ, მანძილი საცხოვრებელ განაშენიანებამდე შეიძლება შემცირდეს 100 მ-მდე;

3. მეორადი ნედლეულის მიმღები პუნქტები იზოლირებული უნდა იქნან მწვანე ნარგავთა ზოლით და ჰქონდეთ საავტომობილო ტრანსპორტის მისასვლელი გზები;

4. საავადმყოფოს მიწის ნაკვეთზე საჭიროა გათვალისწინებული იყოს ცალკეული გასასვლელები სამეურნეო ზონებისა და კორპუსებისათვის: სამკურნალოებში - ინფექციურ და არაინფექციურ ავადმყოფთათვის /ცალცალკე/ და პათოლოგო-ანატომიურისთვის.

6. ტრანსპორტი და ქუჩა-საგზაო

ქსელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.1. ქალაქისა და სოფლის დასახლებათა დაპროექტებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ტრანსპორტისა და ქუჩა-საგზაო ერთიანი ქსელი მათდამი მიმდებარე ტერიტორიათა და დასახლებების გეგმარებითი სტრუქტურის მჭიდროებაში, ამასთანავე ზონირებულ, სწრაფ და უსაფრთხო საკრანსპორტო კავშირით ყველა ფუნქციონალურ ზონასთან, განსახლების სისტემის სხვა დასახლებებთან, საგარეუბნო ზონებში განლაგებულ ობიექტებთან და ასევე საგარეო ტრანსპორტის ობიექტებთან და საერთო ქსელის საკვანძოებიო გზებთან.

6.2. ქალაქებში, ნისახლეობის 90 % მისასვლელად საცხოვრებლიდან საქალაქო ადგილებამდე დროის ხარჯვა /ერთი მიმართულებით/ არ უნდა აღემატებოდეს, წუთებში, ქალაქებისათვის მისახლეობით, ათასი ადამიანი:

2000	45
1000	40
500	37
250	35
100 და ნაკლები . . .	30

ყოველდღიურად ქალაქ-ცენტრში სამუშაოდ სხვა დასახლებებიდან ჩამომსვლელთათვის დროის ხარჯვის აღნიშნული ნორმები შეიძლება გადიდდეს, მაგრამ არა უმეტესად ვიდრე ორჯერ.

სოფლის დასახლებების მცხოვრებთათვის დროის დანახარჯები ნორმით გადაადგილებებისათვის /ფეხით სიარულით ან ტრანსპორტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებით/ სასოფლოსამეურნეო საწარმოს ტერიტორიაზე, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი : ქალაქებისთვის მოსახლეობის რიცხვით 2 მლნ ადამიანი და მეტი, დროის ხარჯვის დასაშვები მაქსიმალური ოდენობა უნდა განისაზღვროს სპეციალური დასაბუთებით ტექნიკური განსახლების, შრომის გამოყენების ადგილთა განაკეთებისა და საკრანსპორტო სისტემათა განვითარების დონის გათვალისწინებით.

2. ქალაქის მოსახლეობის შუალედური რიცხობრიობის საანგარიშო ბრიშვნელობისთვის საჭიროა დროის ხარჯვის აღნიშნული ნორმების ინტერპოლირება.

6.3. ტუჩების ქსელის, გზების და საკრანსპორტო გადაკვეთების გამტარუნარიანობა და ავტომანქანების შესაწყნ ადგილთა რიცხვი საჭიროა განისაზღვროს საანგარიშო პერიოდისთვის ავტომობილიზაციის დონიდან გამომდინარე, ავტომანქანა 1000 ადამიანზე: 200-250 მსუბუქი ავტომანქანა, 3-4 ტაქსის და 2-3 საუწყებო ავტომანქანის ჩათვლით; 20-25 საჭირო ავტომანქანა პარკის შემადგენლობიდან გამომდინარე. მოტოციკლეტებისა და მოპედისტების რიცხვი 1000 ადამიანზე ქალაქებისათვის მოსახლეობით მეტი 100 ათას ადამიანზე და 100-150 ერთეული სხვა დასახლებებისათვის.

საკრანზიტოების და იმ ავტომანქანების რიცხვი, რომლებიც ჩამოდიან სხვა განსახლებების სისტემებიდან ქალაქ-ცენტრში განისაზღვრება სპეციალური ანგარიშით.

ავტომობილიზაციის ეს ნაჩვენები დონე შეიძლება შემცირებულ ან გადიდებულ იქნას ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს - 20 %.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო ტრანსპორტი

6.4. სამგზავრო ვაგზლების /სარკინიგზო, საავტომობილო, წყლის ტრანსპორტისა და საჰაერო ტრანსპორტის/ განთავსება უზრუნველყოფილ უნდა იყოს სატრანსპორტო კავშირებით ქალაქის ცენტრთან, ვაგზლებს შორის, საცხოვრებელ და სამრეწველო რაიონებთან. დასაშვებია გათვალისწინება გაერთიანებული ან შეთავსებული სამგზავრო ვაგზლების ორი ან მეტი სახის ტრანსპორტისთვის.

იმ ქალაქებში, რომლებსაც ემსახურებიან აეროპორტები მგზავრთა ნაკადით არანაკლებ 2 მლნ ადამ. წელიწადში, საჭიროა შეიქმნას საქალაქო აეროვაგზალი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში - საჰაერო მიმოსვლის სააგენტოები ან ავიამგზავრთა მოსვლისა და წასვლის პუნქტები.

6.5. რკინიგზის საერთო ქსელის სადგურები საჭიროა განთავსდნენ ქალაქის ფარგლებს გარეთ, ხოლო რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური სამგზავრო სადგურები, სათადარიგო მოძრავი შემადგენლობის პარკები, სატვირთო სადგურები და საკონტეინერო მოედნები - სამოსახლო ტერიტორიების საზღვრებს გარეთ. საწყობები და დიდი ხნით შესანახ საყარო ტვირთების მოედნები, განლაგებულები საცხოვრებელ ტერიტორიის ფარგლებში, გატანილ უნდა იქნან კომუნალურ - სასაწყობო ზონებში.

6.6. მსხვილი და უმსხვილეს ქალაქების საგარეუბნო ზონებში სატრანსპორტო მატარებლების გასატარებლად საჭიროა შემოსავლელი გზების გათვალისწინება ბაზაზე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხარისხებელ და სატვირთო სადგურთა განთავსებით. რკინიგზების სათავო უბნებზე ინტენსიურ საგარეუბნო და შიგასაქალაქო სამგზავრო მოძრაობისას – 10 წყვილზე მეტი მატარებელი საათში – საჭიროა გათვალისწინებულ იქნას დამატებითი ლიანდაგები, ხოლო აუცილებლობისას მოეწყოს ღრმა სარკინიგზო შესასვლელები ქალაქში ან დიამეტრები ჩქაროსნულ საქალაქო ტრანსპორტთან მათი ურთიერთკავშირების უზრუნველყოფით.

6.7. რკინიგზის ხაზების ურთიერთგადაკვეთა სხვადასხვა დონეზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას: I, II კატეგორიის გზებისთვის – დასახლების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, III – IV კატეგორიისას – სამოსახლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

სამოსახლო ტერიტორიის ფარგლებში რკინიგზების ერთ დონეზე გადაკვეთა ქუჩებით და საავტომობილო გზებით, ასევე საზოგადოებრივი ელექტრული სამგზავრო ტრანსპორტის ხაზებით შეიძლება მოეწყოს სნ და წ II – 39 – 76 და სატრანსპორტო ნაგებობების საშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნათა დაცვით.

6.8. საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისგან სანიტარულ-დამცველი ზონებით – სიგანით 100 მ. ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევებში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სნ და წ II – 12-77 მოთხოვნებს, – დასაშვებია სანიტარულ- დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს – 50 მეტრით.

ეროვნული

დამხარისხებელი სადგურიდან საცხოვრებელ განაშენიანებამდე მანძილები ისაზღვრება ანგარიშის საფუძველზე ჰვირთბრუნვის სიდიდის, გადასატან ჰვირთა ხანძარფთქებითი საშიშროების, ასევე ხმაურისა და ვიბრაციის მხედველობაში მიღებით.

რკინიგზის გაწმავსების ზოლს გარეთ, სანიტარულ-დამცველ ზონაში, დასაშვებია საავტომობილო გზების, გარაჟების, ავტომანქანათა სადგომების, საწყობების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებების განლაგება. სანიტარულ-დამცველი ზონის არანაკლებ 50 % უნდა იყოს გამწვანებული. სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე საბაღო ნაკვეთების საზღვრებამდე საჭიროა მიღებულ იქნას არანაკლებ 50 მ.

6.9. როგორც წესი, I, II, III კატეგორიის საავტომობილო გზები საჭიროა დაპროექტდნენ დასახლებების შემოვლით სნ და წ 2.05.02.85 მოთხოვნათა შესაბამისად. ამ გზების მიწის ვაკისის წარმიდან განაშენიანებამდე ნაძილი განისაზღვრება სნ და წ 2.05.02.85 შესაბამისად ამ ნორმების მე-9 განაყოფის მოთხოვნებით, მაგრამ არანაკლებ: საცხოვრებელ განაშენიანებამდე 100 მ., საწარმოებლო აღნაგობამდე 50 მ; IV კატეგორიის გზებისთვის საჭიროა მიღებულ იქნას შესაბამისად 50 და 25 მ.

ხმაურისა და ავტომობილებიდან გამონაბოლქვი გაზებისგან განაშენიანების დასაცავად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გზის გასწვრივი მწვანე ნარგაობა ზოლები სიგანით არანაკლებ 10 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევებში, როცა საერთო ქსელის გზების გაყვანა ხდება დასახლების ტერიტორიაზე მათი დაპროექტება საჭიროა მოხდეს ამ ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.10. საგარეუბნო ზონებში ის საავტომობილო გზები, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის მაგისტრალთა გაგრძელებას და უზრუნველყოფენ ქალაქ-ის ცენტრიდან მასიური დასვენების ქალაქგარე ზონებში, აეროპორტებსა და განსახლების სისტემის სხვა დასახლებებში მიმართულების მხრივ არაერთიან სატრანსპორტო ნაკადების გაშვებას, საჭიროა დაპროექტდნენ რევერსიული მოძრაობის გათვალისწინებით, როგორც წესი, ძირითადი სავალი ნაწილის სიგანის მიღებით უდიდეს საათობრივ საავტომობილო ნაკადის შესაბამისად.

საავტომობილო გზების კატეგორიები და პარამეტრები ქალაქების საგარეუბნო ზონების /განსახლების სისტემების/ ფარგლებში საჭიროა მიღებულ იქნან სარეკომენდაციო დანართ 8 შესაბამისად.

6.11. აეროდრომები და ვერტოდრომები საჭიროა განლაგდნენ სნ და წ 2.05.08-85 მოთხოვნათა შესაბამისად სამოსახლო ტერიტორიებიდან და მოსახლეობის მასიური დასვენების ზონიდან, ისეთ მანძილზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ფრენების უსაფრთხოებას და საავიაციო ხმაურის დასაშვებ დონეს სახელმწიფო სტანდარტის 22283-77 შესაბამისად, ასევე სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სამოსახლო ტერიტორიებისთვის დაშვებული ელექტრომაგნიტურ გამოსხივებათა სანიტარულ ნორმების.

აღნიშნული მოთხოვნები დაცულ უნდა იქნან მაშინაც, როცა ხდება მოქმედი აეროპორტების რაიონებში ახალი სამოსახლო ტერიტორიათა და მასიური დასვენების ზონების განთავსება.

6.12. შენობების, ელექტროგადაცემის მაღალი ძაბვის ხაზების, რადიოტელევიზიის და სხვა ნაგებობების განთავსება აეროდრომების რაიონში, თუკი მათ შეუძლიათ შეუქმნან საფრთხე საჰაერო ხომალდთა ფრენას ან დაბრკოლებები აეროდრომთა სანავიგაციო საშუალებათა ნორმალურ მუშაობას, უნდა შეთანხმდნენ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა განმგებლობაშიც იმყოფებიან აეროდრომები.

მოთხოვნები ობიექტების განთავსების შესათანხმებლად მოცემულია აუცილებელ დანართ 2-ში.

6.13. საზღვაო და სამდინარო პორტები საჭიროა განთავსდნენ სამოსახლო ტერიტორიების ფარგლებს გარეთ სანიტარიულ-დაცვით ზონებიდან არანაკლებ 100 მ.

საზღვაო და სამდინარო ახალი პორტების სპეციალიზირებული რაიონების საზღვრებიდან მანძილები საცხოვრებელ გარემოებამდე საჭიროა მიღებულ იქნას, მ, არანაკლებ:

მტვრიანი ტვირთების გადასატვირთ და შესანახ რაიონების საზღვრებიდან 300

რეზერვუარებიდან და ნავთობპროდუქტების ჩასასხმელ-გადასასხმელი მოწყობილობებიდან საწყობების კატეგორიისას:

I 200

II და III 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტის თევზიანი რაიონის /ადგილზე თევზის გადამუშავების გარეშე/ საზღვრებიდან 100

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. საზღვაო და სამდინარო პორტების ტერიტორიებზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნან წყალთან მისასვლელები და მოედნები სახანძრო ავტომანქანებით წყლის ასაღებად.

2. მცირე ტვირთბრუნვიან პორტებში დასაშვებია სამგზავრო და სატვირთო რაიონების გაერთიანება ერთ სატვირთოსამგზავროში.

6.14. სანაპირო ტერიტორიათა სატვირთო რაიონების სიგანე საჭიროა მიღებულ იქნას, მ , არაუმეტეს: საზღვაო პორტებისთვის - 400, სამდინარო პორტებისთვის - 300, წავბისადგომთათვის - 150, სამდინარო სპეციალიზირებულ პორტებისთვის გაწყობილის ძასიური ხასიათის ტვირთთა გადასატანად სანავიგაციო პერიოდებშორის შენახვის ორგანიზებით - 400. საათაწილო დასაშუალებით დასაშვებია ტერიტორიათა ნაჩვენები სიგანეების გადიდება.

გენერალური არხების, შლუზების და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობების გასწვრივ ორივე მხარეს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას განაშენიანებისაგან თავისუფალი ზოლი სიგანით არანაკლებ 80 მ, რომელიც გამოიყენება გასამწვანებლად და ადგილობრივი გზების განსათავსებლად.

6.15. იღლიაქვეშა და საწვავ სითხეთა საწყობებისთვის განკუთვნილი სამდინარო პორტის რაიონები საჭიროა განთავსდნენ დინების ქვეშა მიმართულებით, სატვირთო განაშენიანებიდან, მოსახლეობის მასიური დასვენების ადგილებიდან, წყალმისადგომებიდან, სამდინარო ვაგზლებიდან, გემთა სარეიდო სადგომებიდან, ჰიდროელექტროსადგურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან და ხიდებიდან არანაკლებ 500 მ.

დაიშვება მათი განთავსება მდინარის დინების მიმართულების საწინააღმდეგოდ ჩამოთვლილ ობიექტებიდან რანძირზე, მ, არანაკლებ, პირველი კატეგორიის საწყობებისთვის 5000, მეორე და მესამე კატეგორიის საწყობებისთვის – 3000.

საზღვაო გზების სანავიგაციო მდგომარეობის სამუშაოებათა მოქმედების ზონაში ახალი ობიექტების განთავსება და არსებული შენობებისა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის ჩატარება საჭიროა შესრულდეს სსრკ თავდაცვის სამინისტროსა და სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტროს თანხმობით.

6.16. სპორტული კლუბებისა და ცალკეულ მოქალაქეთა კუთვნილი სარაჟირო ბაზები და მცირემეწარმეები გემთა სადგომი ადგილები, საჭიროა განლაგდნენ საგარეუბნო ზონებში, ხოლო ქალაქის ფარგლებში – სანიტარიული ტერიტორიებისა და მოსახლეობის მასიური დასვენების ზონების ფარგლებს გარეთ.

ნაკვეთის ზომა, როცა ნავების შენახვა ხდება ერთიარუსიან სტელაჟებში საჭიროა მიღებულ იქნას /ერთი ადგილისთვის/, მ^2: გასასეირნებელ ფლოტისთვის – 27, სპორტულისთვის – 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუჩებისა და გზების ქსელი

6.17. დასახლებული პუნქტების ტუჩა- გზის ქსელი საჭიროა დაპროექტდეს უწყვეტი სისტემის სახით ტუჩებისა და გზების ფუნქციონალური დანიშნულების, ტრანსპორტის, ველოსიპედითა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ინტენსიობის, ტერიტორიის არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზაციისა და განაშენიანების ხასიათის გათვალისწინებით.

ტუჩა-გზის ქსელის შემადგენლობაში საჭიროა გამოიყოს მაგისტრალური და აღგილობრივი მნიშვნელობის ტუჩები და გზები, ასევე მთავარი ტუჩები.

ჭალატუჩის ტუჩებისა და გზების კატეგორიები საჭიროა დანიშნოს იმ კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მოცემულია ცხრილ - 7-ში.

6.18. ჭალატუჩის ტუჩებისა და გზების საანგარიშო პარამეტრები საჭიროა მიღებულ იქნან ცხრილ 8 -ის, ხოლო სოფლის დასახლებებში - ცხრილ - 9-ის შესაბამისად და ასევე სატრანსპორტო ნაგებობებზე არსებულ სნ და წ მოთხოვნათა შესაბამისად.

6.19. მანძილი მაგისტრალური გზების ძირითადი სკვეთი ნაწილის გვერდიდან საცხოვრებელი განაშენიანების რეგულირებად ბაზამდე საჭიროა იყოს არანაკლებ 50 მ, ხოლო ხმაურდამცავი მოწყობილობათა გამოყენების პირობებში სნ და წ II - 12- 77 მოთხოვნათა დაცვით, არანაკლებ 25 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 7

გზებისა და ქუჩების კატეგორია	გზებისა და ქუჩების ძირითადი დანიშნულება
1	2
მაგისტრალური გზები:	
ჩქაროსნული მოძრაობის	უდიდეს და მსხვილ ქალაქებში ჩქაროსნული სატრანსპორტო კავშირი ერთმანეთისგან დაშორებულ სამრეწველო დაგეგმარებად რაიონებს შორის; გასასვლელები საგარეო საავტომობილო გზებზე, აეროპორტისკენ განსახლების სისტემის მასიური დასვენების ზონებთან და დასახლებებთან. სხვადასხვა დონეზე გადაკვეთა მაგისტრალური ქუჩებისა და გზების.
რეგულირებადი მოძრაობის	სატრანსპორტო კავშირი საქალაქო განაშენიანების გარეთ ქალაქის რაიონებს შორის ცალკეულ მიმართულებებსა და უბნებში უპირატესად სატვირთო მოძრაობისათვის, გასასვლელები საგარეო საავტომობილო გზებზე, ქუჩებისა და გზების გადაკვეთები, როგორც წესი, ერთ დონეზე.
მაგისტრალური ქ უ ჩ ე ბ ი :	
საერთო საქალაქო დანიშნულების:	
უწყვეტი მოძრაობის	სატრანსპორტო კავშირი საცხოვრებელ, სამრეწველო

1	2
	და საზოგადოებრივ ცენტრებს შორის უმსხვილეს, მსხვილ და დიდ ქალაქებში, ასევე სხვა მაგისტრალურ ქსელებთან, საქალაქო და საგარეო საავტომობილო გზებთან.
	ძირითადი მიმართულებებით ტრანსპორტის მოძრაობის უზრუნველყოფა სხვადასხვა დონეზე.
რეგულირებადი მოძრაობის	სატრანსპორტო კავშირი საცხოვრებელ, საწარმოო რაიონებსა და ქალაქის ცენტრს შორის, ნაკლებად რაიონების ცენტრებს შორის; გასასვლელები მაგისტრალურ ქსელებზე, გზებზე და საავარეო საავტომობილო გზებზე. გადაკვეთები მაგისტრალური ქსელებისა და გზების, როგორც წესი, ერთ დონეზე.
რაიონული ნაწილები:	
სატრანსპორტო-ქვეითად საკვანძო	სატრანსპორტო და ქვეითად საკვანძო კავშირი საცხოვრებელ რაიონებს შორის, ასევე საცხოვრებელ და საწარმოო რაიონებს და საზოგადოებრივ ცენტრებს შორის, გასასვლელები სხვა მაგისტრალურ ქსელებზე.
ქვეითად საკვანძო სატრანსპორტო	ქვეითად საკვანძო და სატრანსპორტო კავშირი /უპირატესად საზოგადოებრივი საბაგირო ტრანსპორტი/ ნაკლებად რაიონის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2
ადგილობრივი მნიშვნელობის ქუჩები და გზები:	
ქუჩები საცხოვრებელ განაშენიანებაში	საგრანსპორტო /საქვირო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გატარების გარეშე/ და ქვეითად სავალი კავშირი საცხოვრებელ რაიონთა ტერიტორიებზე და რეგულირებად მოძრაობის გზებზე.
ქუჩები და გზები სამეცნიერო-საწარმოო, სამრეწველო და კომუნალურ-სასაწყობო ზონებში /რაიონებში/	საგრანსპორტო კავშირი უპირატესად მსუბუქი და საქვირო ტრანსპორტისთვის ზონების /რაიონების/ ფარგლებში, გასასვლელები ქალაქის მაგისტრალურ გზებზე. ქუჩებისა და გზების გადაკვეთები ეწყობა ერთ დონეზე.
ქვეითად სავალი ქუჩები და გზები	ქვეითად სავალი კავშირები შრომის ადგილებთან, დაწესებულებებთან და მომსახურეობის საწარმოებთან, მათ შორის საზოგადოებრივ ცენტრების ფარგლებში, დასვენების ადგილებში და საზოგადოებრივ ტრანსპორტის გასაჩერებელ პუნქტამდე.

1	2
საპარკო გზები	სატრანსპორტო კავშირები პარკების და ტყეპარკების ტერიტორიათა ფარგლებში უპირატესად მხუბუქ ავტომობილთა მოძრაობისთვის.
გასასვლელები	სატრანსპორტო საშუალებათა მისასვლელი საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან და სხვა ობიექტებთან ქალაქის განაშენიანების რაიონებს, მიკრორაიონებსა და კვარტალებს შიგნით.
საველოსიპედო გზები	ველოსიპედით მისვლა სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობისგან თავისუფალ ტრასებით დასვენების ადგილებთან, საზოგადოებრივ ცენტრებთან, ხოლო უნსხვიდეს და მსხვილ ქალაქებში კავშირები მგეგმარებად რაიონების ფარგლებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. მთავარი ქუჩები, როგორც წესი, გამოიყოფიან სატრანსპორტო -ქვეითად სავალ, ქვეითად სავალ - სატრანსპორტო და ქვეითად სავალ ქუჩათა მთელ შემადგენლობიდან და წარმოადგენენ ' ერთიან საქალაქო ცენტრის არქიტექტურულ-გეგმარებითი განაშენიანების საყრდენს.

2. ქალაქების სიდიდისა, გეგმარებითი სტრუქტურისა და მოძრაობათა სიხშირის მიხედვით ქუჩებისა და გზების მოცემული

ძირითადი კატეგორიები დასაშვებია შეივსოს ანდა მიღებულ იქნან არასრული შემადგენლობით. თუკი მრომითი მიმოსვლისთვის დროის საანგარიშო დანაბარჯები მეტია ამ ნორმებით დამტკიცებულზე, - დასაშვებია სპეციალური დასაბუთების არსებობისას, მაგისტრალური ქუჩებისა და გზების კატეგორიები მიღებულ იქნას ამ ნორმების ცხრილში მოცემულ უფრო მეტმაცხოვრებლებიან ქალაქების ჯგუფისთვის.

3. რეკონსტრუქციის პირობებში, ასევე რაიონული მნიშვნელობისთვის დასაშვებია მოეწყოს მაგისტრალები ან მათი მონაკვეთები, რომლებიც გაანგარიშებულ მხოლოდ საზოგადოებრივ სატრანსპორტო საშუალებათა გასატარებლად და ტრანზვაისა და ქვეითად მოსიარულეთა, ტროლეიბუსებისა და ქვეითად მოსიარულეთა ანდა ავტობუსითა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზებით.

4. ისტორიულ ქალაქებში საერთო საქალაქო ცენტრის ბირთვის ისტორიულ ტერიტორიაზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მიწისზედა ტრანსპორტის მოძრაობის აღკვეთა ანდა შემცირება: შემოსაზღვრულ მაგისტრალურ, ტრანსპორტის შეზღუდული მოძრაობის, ქვეითად მოსიარულეთა ქუჩებისა და მონების; ავტომობილების სადგომთა უპირატესად განლაგების ამ ბირთვის პერიმეტრზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8

გზებისა და ქუჩების კატეგორია	მოძრაობის საანგარიშო სიჩქარე, კმ/ს	სამოძრაო ზოლის სიგანე, მ	სამოძრაო ზოლების რიცხვი	მოსახვევთა უმცირესი რადიუსი გეგმაში, მ	უდიდესი გრძივი ქანობი, ‰	ტროტუარის ქვეითად სავალი ნაწილის სიგანე, მ
1	2	3	4	5	6	7
მაგისტრალური გზები:						
ჩქაროსნული მოძრაობის	120	3,75	4 – 8	600	30	–
რეგულირებადი მოძრაობის	80	3,50	2 – 6	400	50	–
მაგისტრალური ქუჩები:						
საერთოსაქალაქო მნიშვნელობის	100	3,75	4–8	500	40	4,5
რეგულირებადი მოძრაობის	80	3,50	4 – 8	400	50	3,0
რაიონული მნიშვნელობის:						
სატრანსპორტო –ქვეითად სავალი	70	3,50	2 – 4	250	60	2,25
ქვეითად სავალი – –სატრანსპორტო	50	4,00	2	125	40	3,0

1	2	3	4	5	6	7
ადგილობრივი წნიშნულობის ტბორები და გზები :						
ტბორები საცხოვრებელ განაშენიანებაში -	40	3,00	2 -3 X	90	70	1,5
	30	3,00	2	50	80	1,5
ტბორები და გზები სამეცნიერო, საწარმოო, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო რაიონებში	50	3,50	2 -4	90	60	1,5
	40	3,50	2	50	70	1,5
საპარკო გზები	40	3,00	2	75	80	-
გასასვლელები:						
ძირითადები	40	2,75	2	50	70	1,0
მეორეხარისხოვნები	30	3,50	1	25	80	0,75
ქვეითად სავალი ტბორები:						
ძირითადები	-	1,00	ანგარიშით	-	40	პროექტი
მეორეხარისხოვნები	-	0,75	-"-	-	60	-"-
სავეიფსიპედო გზები:						
განსაკუთრებულები	20	1,50	1-2	30	40	-
იზოლირებულები	30	1,50	2-4	50	30	-

X მსუბუქი ავტომანქანების საღგომად ერთი ზოლის გამოყენების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. გზებისა და ქუჩების სიგანეები ისაზღვრება ანგარიშით, იმისდა მიხედვით თუ როგორია ტრანსპორტის მოძრაობისა და ქვეითად მოსიარულეთა ინტენსიურობა, ასევე როგორია იმ ელემენტების შემადგენლობა, რომლებიც განლაგებულია განივი პროფილის ფარგლებში /სავალ წაწილთა, მიწისქვეშა კომუნიკაციების ჩასაწყობ ტექნიკური ბოლის ტროტუარების, მწვანე წარგავთა და სხვ/, სანიტარულ - ჰიგიენური და სამოქალაქო თავდაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით. როგორც წესი, ქუჩებისა და გზების სიგანე წითელ ხაზებში მიიღება, მ : მაგისტრალურ გზებისთვის - 50 - 75; მაგისტრალური ქუჩებისთვის - 40 - 80 ; ადგილობრივი მნიშვნელობის ქუჩებისა და გზებისთვის - 15 - 20. ტექნიკური ბოლისა და ასევე გამწყობ ბოლთა სიგანეები დგინდება სატრანსპორტო ნაგებობებზე სნ და წ მოთხოვნათა შესაბამისად.

2. რუკი რელიეფის პირობებში ანდა რეკონსტრუქციისას დასაშვებია შემცირდეს საანგარიშო სიჩქარე ჩქაროსნული უწყვეტი მოძრაობის გზებისა და ქუჩებისთვის 20 კმ/სთ, სხვა გზებისა და ქუჩებისთვის 10 კმ/ სთ.

3. დიდ, მსხვილ და უმსხვილეს ქალაქების მაგისტრალურ ქუჩებზე და გზებზე ავტობუსებისა და ტროლეიბუსების მოძრაობისთვის საჭიროა 4 მ სიგანის გვერდითა ბოლის გათვალისწინება; "პიკის" საათებში ავტობუსთა გასაშვებად

40 ერთეული/საათში ინტენსიობით, ხოლო რეკონსტრუქციის პირობებში მეტი ვიდრე 30 ერთეული /საათში, დასაშვებია მიეცეს განცალკევებული სავალი ნაწილი სიგანით 8 - 12 მ

მაგისტრალურ გზებზე, სადაც უპირატესად სატვირთო ავტომობილები იმოძრავებენ დასაშვებია სამოძრაო ზოლის გაძიდება 4 მეტრამდე.

4. $I^{ა}$, $I^{ბ}$ და $I^{გ}$ კლიმატურ ქვერაიონებში მაგისტრალური ქუჩებისა და გზების სავალი ნაწილის უდიდესი გრძივი ქანობები საჭიროა შემცირდეს 10 ‰, იმ ადგილებში, სადაც თოვლის დაგროვების მასა ზამთრობით მეტია 600 $მ^3/მ$ ქუჩებისა და გზების სავალი ნაწილის ფარგლებში საჭიროა თოვლის მოსახვევი, 3 მეტრ სიგანის, ზოლის გათვალისწინება.

5. გზებისა და ტროტუარების ქვეშად სავალი ნაწილის სიგანეში არ ჩაითვლება მოედნები, რომლებიც აუცილებელია ჯიხურების, ნერჩების და სხვ. გასაშენებლად.

6. $I^{ა}$, $I^{ბ}$, და $I^{გ}$ კლიმატურ ქვერაიონების იმ ადგილებში სადაც გასაანგარიშო თოვლის მოცულობა მეტია 200 $მ^3/მ$ ტროტუარების სიგანე მაგისტრალურ ქუჩებზე საჭიროა მიღებულ იქნას არანაკლებ 3 მ.

7. რეკონსტრუქციის პირობებში არსებობრივი ნაწიწვნელობის ქუჩებზე, ასევე ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაკიდები ვიდრე 50 ადამიანი/საათში, ორივე მიმართულებით დასაშვებია ტროტუარებისა და ბილიკების მოწყობა სიგანით 1 მ.

8. როცა ტროტუარები უშუალოდ ეკვრიან შენობების კედლებს, საყრდენ კედლებს არდა ღობეებს საჭიროა მათი სიგანის გადიდება არანაკლებ 0,5 მ.

9. ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის კონკრეტული სიხშირის გათვალისწინებით დასაშვებია მაგისტრალური ტუჩების და გზების, სატრანსპორტო გადაკვეთების საანგარიშო პარამეტრების ეკაპური მიღწევა, ამასთანავე პერსპექტიული მშენებლობისთვის აუცილებელია ტერიტორიებისა და მიწისქვეშა სივრცეების რეზერვირება.

10. ხატარა, საშუალო და დიდ ქალაქებში, ასევე რეკონსტრუქციის პირობებში და ტრანსპორტის ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზებისას დასაშვებია რაიონული მნიშვნელობის მაგისტრალური ტუჩების პარამეტრების გამოყენება საერთოსაქალაქო მნიშვნელობის მაგისტრალური ტუჩების დაპროექტებისთვის.

ცხრილი 9

სოფლის ქუჩებისა და გზების კატეგორია	ძირითადი დანიშნულება	მოძრაობის საანგარიშო სიჩქარე კმ/ს	სამოძრაო ზოლის სიგანე, მ.	სამოძრაო ზოლის რიცხვი	ტროტუარის ქვეითად სავალი ნაწილის სიგანე, მ.
1	2	3	4	5	6
სადაბო გზა	სასოფლო დასახლების კავშირი საგარეო გზების საერთო ქსელთან	60	3,5	2	–
მთავარი ქუჩა	საცხოვრებელი ტერიტორიების კავშირი საზოგადოებრივ ცენტრთან	40	3,5	2 - 3	1,5-2,25
ქუჩა საცხოვრებელ განაშენიანებაში: ძირითადი	საცხოვრებელი ტერიტორიების შიგა კავშირი და კავშირი მთავარ ქუჩასთან ინტენსიური მოძრაობის მიმართულებით	40	3, 0	2	1,0 -1,5

1	2	3	4	5	6
მეორეხარისხოვანი: /შესახვევი/	კავშირი ძირითად საცხოვრებელ ქუჩებს შორის	30	2,75	2	1,0
გასასვლელი:	კვარტლის სიღრმეში გაწიაგებული საცხოვრებელ სახლთა კავშირი ქუჩასთან	20	2,75-3,0	1	0-1,0
სამეურნეო გასასვლელი საკუნძის გადასარეკი	პირადი საკუნძის გადასარეკი და საკარმიდამო ნაკვეთებთან სამეურნეო ტრანსპორტის მისასვლელი	30	4,5	1	-

ქუჩების ძირითადი სავალი ნაწილის კიდიდან მანძილები, ადგილობრივ ანდა განაშენიანების გვერდითა გასასვლელების ხაზებამდე საჭიროა მიღებულ იქნას არა უმეტეს 25 მ. ამ მანძილის გადამეტების შემთხვევაში საჭიროა განაშენიანების ხაზიდან არა უახლოეს – 5 მ მანძილზე გათვალისწინებულ იქნას სახანძრო მანქანების გასასვლელად გამოსადეგი ზოლი სიგანით 6 მ.

6.20. ჩიხისებრ ქუჩებისა და გზების სავალ ნაწილთა ბოლოს საჭიროა ეწყობოდეს მოედნები კუნძულებით ავტომობილთა მოსაბრუნებლად დიამეტრით არანაკლებ 16 მ, ხოლო – არანაკლებ 30 მ საზოგადოებრივი სამგზავრო ტრანსპორტის მოსაბრუნებლად საბოლოო პუნქტის ორგანიზების საჭიროებისას. დაუშვებელია მოსაბრუნებელი მოედნების გამოყენება ავტომობილების სადგომად.

6.21. იმ მაგისტრალურ ქუჩებზე, რომლებზეც ხდება მოძრაობის რეგულირება დასაშვებია მოეწყოს საველოსიპედო ბილიკები, მონიშნული გამყოფი ზოლებით.

მოსახლეობის მასიური დასვენების ზონებსა და სხვა გამწვანებულ ტერიტორიებზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საველოსიპედო ბილიკები იზოლირებული ქუჩებიდან, გზებიდან და ქვეითად მოსიარულეებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველოსიპედო ბილიკები შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი მოძრაობისთვის უსაფრთხოების კიდეა მიღით სიგანით არანაკლებ 1 მ; სიფიწროვის პირობებში უსაფრთხოების მიღების ნაცვლად დასაშვებია დაიდგას შემომფარგვლელი წინაღობები სიმაღლით 0,75 მ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ქუჩებისა და გზების სავალი ნაწილის კიდეზე დასაშვებია საველოსიპედო ბილიკების მოწყობა, აღნიშნული ორმაგი გამყოფი ხაზებით. ბილიკის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 1,2 მ, როცა მოძრაობის მიმართულება ემთხვევა ტრანსპორტის ნაკადის მიმართულებას და არანაკლებ 1,5 მ. შემხვედრი მოძრაობისას. ტროტუარის გასწვრივ მოწყობილ საველოსიპედო ბილიკის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 1 მ.

6.22. ქუჩებისა და გზების სავალი ნაწილის მოხვევის რადიუსები ტროტუარებისა და გამყოფი ბილების კიდეზე საჭიროა მიღებით არაუმცირეს 12 მ, საავტომობილო მაგისტრალებზე კი არაუმცირეს 15 მ. შეზღუდულ პირობებში და რეკონსტრუქციისას დასაშვებია ნახსენები რადიუსების შემცირება შესაბამისად 5 და 8 მეტრამდე.

6.23. ქუჩებისა და გზების არარეგულირებად გადაკვეთებზე, ასევე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელებზე აუცილებელია

გათვალისწინებულ იქნას ხილვადობის სამკუთხედები. მინიმალური სწორკუთხა ხილვადობის "ტრანსპორტი - ტრანსპორტის" სამკუთხედის გვერდების ზომები ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარეებისას 40, 60 და 80 კმ/სთ. უნდა იყოს შესაბამისად, მ, არა ნაკლებ: ქუჩებისთვის სადაც არ დაიშვება სტაციონარული და მოძრავი საგნები /კიოსკების, სვეტების, რეკლამების, მცირე არქიტექტურული ფორმების/, ხეების, ასევე ბუჩქნართა სიმაღლით 0,5 მ განლაგება - 25, 40, 65; სხვა ქუჩებისთვის, რომელთა ფარგლებში ჩამოთვლილ საგანთა გარდა არ დაიშვება შენობებისა და სხვა კაპიტალურ ნაგებობათა განლაგება - 15, 30, 45.

გვერდების ზომები ხილვადობის სწორკუთხა "ქვეითად მოსიარულე - ტრანსპორტის" სამკუთხედისა საჭიროა მიღებულ იქნას ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარისას 40 კმ/სთ - 8 X 40, 60 კმ/სთ - 10 X 50 მ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არსებული განაშენიანების პირობებში, როდესაც საშუალებას არ იძლევა მოეწყოს ხილვადობის საჭირო სამკუთხედები, ტრანსპორტის მოძრაობისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს რეგულირების სპეციალურ ტექნიკურ მოწყობილობათა საშუალებით.

6.24. სამოსახლო რაიონების, იმ ადგილებში სადაც უნდა განთავსდნენ სახლები მოხუცთათვის და ინვალიდებისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაწესებულებები და მოსახლეობის სხვა მასიურად მისასვლელი დაწესებულებები საჭიროა გათვალისწინებული იქნან ქვეითად სასიარულო გზები ისე, რომ წესაძლებელი იყოს გავლა ინვალიდების მექანიკური საგორავებით. ამასთანავე გზაზე ვერტიკალურ ჩინაღრეების სიმაღლე/კიდის ქვები, საკვერდოები/ არ უნდა აღემატებოდეს 5 სმ; დაშვებულია მოკლე, დაბრეცი/100 ჯ-ზე მეტი/ რაბები, ასევე ტროტუარებისა და ქვეითად სავალ გზებზე 50ჯ-ზე მეტი გრძივი ქანობები გზებზე, რომლებსაც აქვთ 30-60 ჯ. ქანობები აუცილებელია არანაკლებ ყოველ 100 მეტრისა მოეწყოს ჰორიზონტალური მონაკვეთები სიგრძით არანაკლებ 5 მ.

ნ.25. განაშენიანებულ ტერიტორიის ფარგლებში რეკუდირებადი მოძრაობის მაგისტრალურ ქუჩებსა და გზებზე საჭიროა გადასასვლელების გათვალისწინება ქვეითად მოსიარულეთათვის ერთ დონეზე, ინტერვალით 200-300 მ.

ქვეითად მოსიარულეთათვის კიბეებიანი და პანდუსებიანი გადასასვლელები სრვადასხვა დონეზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნან შემდეგი ინტერვალებით:

400 - 800 მ ჩქარისნული მოძრაობის გზებზე, ჩქარისნული მოძრაობის ტრანსპორტის ხაზებსა და რკინიგზებზე;

300 - 400 მ უწყვეტი მოძრაობის მაგისტრალურ ქუჩებზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. რეგულირებად მოძრაობის მაგისტრალურ ქუჩებზე დასაშვებია სხვადასხვა დონეზე გადასასვლელების მოწყობა ქვეითად მოსიარულეთათვის თუკი ქვეითად მოსიარულეთა ნაკადი სავალ ნაწილზე აღემატება 3000 ადამიანს საათში.

2. ქვეითად სასიარულო გზები /ტროტუარები, მოედნები,კიბეები/ ადმინისტრაციულ და სავაჭრო ცენტრებთან, სასტუმროებთან , თეატრებთან, გამოფენებსა და ბაზრებთან საჭიროა დაპროექტდნენ იმ პირობიდან გამომდინარე, რომ ქვეითად მოსიარულეთათვის უზრუნველყოფილი იქნება "პიკის" საათებში ნაკადის სიმჭიდროვე არა უმეტეს 0,3 ადამ/$მ^2$; ქარხნებისწინა მოედნებზე, სპორტულ-სანახაობით დაწესებულებებთან, კინოთეატრებთან, ვაგზლებთან – 0,8 ადამ./$მ^2$.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ საგზაო ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ქსელი

6.26. საზოგადოებრივი საგზაო ტრანსპორტის სახეობა საჭიროა შერჩეულ იქნას მგზავრთა საანგარიშო ნაკადისა და მგზავრთა მიმოსვლის სიშორეთა საფუძველზე, სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის გამტარუნარიანობის შესახებ მონაცემთა, მოწყობილობათა და ნაგებობათა /პლატფორმების, ჩასასხმელი მაქნების/ პარამეტრები გაისაზღვრება საანგარიშო ვადისთვის მოძრავი შემადგენლობის ავსების ნორმით ჩვეულებრივი სახეობის მიწისზედა ტრანსპორტისათვის საგზაო საერთო იატაკის თავისუფალ ფართზე 4 ადამ./მ^2 და 3 ადამ./მ^2 ჩქაროსნული ტრანსპორტისათვის.

6.27. საზოგადოებრივ საგზაო მიწისზედა ტრანსპორტის სადგომი უნდა განლაგდეს მაგისტრალურ ქუჩებზე და გზებზე სავალი ნაწილისთვის გამოყოფილ ზოლში ან და გამოცალკევებულ კაკისზე. საგრანსპორტო სამუშაოებათა მოძრაობის მოწესრიგების საერთო ნაკადში, საგრანსპორტო ნაგებობების სწ და წ მოთხოვნათა შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. მსუბუქი და უმსუბუქეს ქალაქების ცენტრალურ რაიონებში ქუჩა - გზათა ქსელის შეზღუდულ გამტარუნარიანობას დასაშვებია გათვალისწინებულ იქნან ტრანსპორტის

ტურისგარე ბაგები გაყვანილები მცირეწყლიანების გვირაბებში ან ესტოკადებზე.

2. საერთოსაქალაქო ცენტრის ისტორიულ ბირთვში თუკი ქვეითად მოსიარულეთათვის შეუძლებელია წორმატიულად მისაღწევ ადგილებზე საზოგადო სამგზავრო ტრანსპორტის გაჩერებების უზრუნველყოფა, დასაშვებია ადგილობრივი სისტემის სპეციალიზირებული სახეობის ტრანსპორტის მოწყობა.

3. მაგისტრალებსშორის ტერიტორიებზე ფართობით 100 ჰა, რეკონსტრუქციის პირობებში კი 50 ჰა-ზე მეტი, დასაშვებია ქვეითად მოსიარულეთა და სატრანსპორტო ტურებზე ანდა გამოცალკევებულ ვაკისებზე გაყვანილ იქნან საზოგადოებრივ სამგზავრო ტრანსპორტის ხაზები. საზოგადოებრივ სამგზავრო ტრანსპორტის საშუალებათა მოძრაობის ინტენსიობა ორივე მიმართულებით არ უნდა აღემატებოდეს 30 ერთეულს/საათში, ხოლო მოძრაობის საანგარიშო სიჩქარე - 40 კმ/ საათში.

9.5. ქალაქების საკარმიდამო ზონების ფარგლებში სატყეო ფონდის მიწებზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მწვანე ზონების ფორმირება სსრკ სატყეომეურნეობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო სტანდარტის 17.5.3.01-78 -ის და საკავშირო სამშენებლო ნორმების 3 - 84 - ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქალაქების მწვანე ზონების ტერიტორიული მოწესრიგება უნდა ითვალისწინებდეს მათ გაყოფას სატყეპარკად და ტყესამეურნეო ნაწილებად, მოსახლეობისთვის დასასვენებელ ადგილთა და დასაცავ ტერიტორიათა გამოყოფას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ჰაერის გამაჯანსაღებელ და ბუნების დაცვითი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო სტანდარტის 17.6. 3. 01-78 მოთხოვნათა შესაბამისად.

9.6. ქალაქებისა და სოფლის დასახლებების ირგვლივ, რომლებიც მდებარეობენ ტყეო და მცირეტყიან რაიონებში, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ქარსაფარი და წაპირსამაგრ ტყეთა ზოლების შექმნა, გორაკთა, ხრამებისა და ღრანტეების კალთების გამწვანება.

დამცავ ტყეთა ზოლების სიგანე საჭიროა მიღებულ იქნას, მ, არანაკლებ: უნსტვიღეს და მსხვილ ქალაქთათვის - 500, დიდ და საშუალო ქალაქთათვის - 100, პატარა ქალაქთათვის და სოფლის დასახლებებისთვის -- 50.

9.7. ქალაქების და მათი საგარეუბნო ზონების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ბუნებრივი მთლიანი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიების გამოყოფა, ლანდშაფტების მდგრადობის შესაბამისად. სარეკრეაციო დატვირთვების შეზღუდვა, განსაკუთრებით, დასაცავ ტერიტორიების სარეჟიმო მოთხოვნათა შესრულება - სახელმწიფო ნაკრძალებში, ბუნებრივ და ნაციონალურ პარკებში, ბოტანიკურ ბაღებსა და დენდროლოგიურ პარკებში, ასევე - ტყეების, წყლებისა და გეოლოგიურ ბუნებრივ ძეგლთა მოვლისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ატმოსფეროს, წყლის ობიექტების და ნიადაგთა
დაცვა გაჭუჭყიანებისგან

9.8. სამოსახლო ტერიტორიები საჭიროა განთავსდნენ უქარო მხრიდან /გაბატონებული ქართა მიმართულებებისთვის/ სამრეწველო საწარმოებთა მიმართებით, რომლებიც წარმოადგენენ ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების წყაროს და რომლებიც ასევე ჰქმნიან მომატებულ ხანძარსაშიშროებას.

საწარმოები, რომლებსაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული სისუფთავის ატმოსფერული ჰაერი, არ უნდა განლაგდნენ გაბატონებული ქარების მიმართულების მხარეს იმ მეზობელ საწარმოებიდან, რომლებსაც გააჩნიათ ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების წყარო.

მეცხოველეობის, მეფრინველეობის და ნადირთმოსაშენებელი საწარმოები, მხარმქირმიატების, ბიოპრეპარატების, სასუქების შესანახი და სხვა ცეცხლაფეთქებასაშიში საწყობები და საწარმოები, ვეტერინარული დაწესებულებები, ნარჩენთა უტილიზაციის საწარმოები და ობიექტები, საქვაბეები, გამწმენდი ნაგებობები, ნაკელის დია ჯიპის შესანახები, საჭიროა განთავსდნენ უქარო მხრიდან /გაბატონებული ქართა მიმართულებებისთვის/ სამოსახლო ტერიტორიათა და სამრეწველო ზონის სხვა საწარმოთა და ობიექტთა მიმართ მოქმედე ნორმატიული დოკუმენტთა შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანებული წყაროების მქონე საწარმოები, რომელთა

სანიტარული დაცვის ზონა 500 მ. მეტია, არ უნდა განლაგდნენ რაიონებში სადაც გაბატონებული ქარების სიჩქარე, 1 მ/წამ-მდეა, ხანგრძლივ ანდა ხშირად განმეორებად წყნარი ამინდებით, ინვერსიებით, ღრუბლოვანებებით / წლიწადში 30 – 40 %, ზამთრის განმავლობაში 50 – 60 % დღეებისა/.

2. ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების ანგარიში უნდა ჩატარდეს ამ წესების მესამე განაყოფის შესაბამისად.

9.9. წყალსატევების, წყალსავალთა და ზღვის აკვატორიების დაცვითი ღონისძიებები აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სსრკ ჯანმრთელობის დაცვის, სსრკ წყალთა მეურნეობისა და სსრკ თევზის მეურნეობის სამინისტროების მიერ დამტკიცებულ წყალთა კანონმდებლობისა და სანიტარული წესების მოთხოვნათა შესაბამისად. ამავე დროს საჭიროა ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების აღკვეთა და მოსახლეობის დასახლებებზე სამეურნეო-სასმელ და სათევზე მეურნეობათა მიზნებისთვის წყალმომარაგებელ ობიექტებში გაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციათა /ზდკ/ დაცვა.

9.10. ქალაქებისა და სოფლის დასახლებათა სამოსახლო ტერიტორიები, საკურორტო ზონები და მასიური დასვენების ადგილები საჭიროა განთავსდნენ საწარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალსადინართა გამოყვანის ადგილებსა, წყალსატევთა და ჩამდინარე წყალთა ზევით, წყალთა დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. მათი განთავსება აღნიშნულ გამოყვანის ადგილებს ქვევით დასაშვებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნ და წ 2.04.03 - 85-ის, ასევე სსრკ წყალთა მეურნეობის, სამინისტროს, სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სსრკ ფევის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ და სსრკ სახმშენთან შეთანხმებულ ზედაპირული წყლების ჩანადენი წყლებით გაჭუჭყიანებისგან დაცვის წესებისა და ზღვის სანაპირო წყალთა სანიტარული დაცვის წესთა მოთხოვნების დაცვით.

წარმოებები, რომელებსაც სჭირდებათ სატვირთო ნავმისადგომები, ნავსადგომები ანდა პორტისთვის საჭირო სხვა ნაგებობები, საჭიროა განთავსდნენ მდინარის დინების მიმართულებით სამოსახლო ტერიტორიებს ქვევით.

9.11. წყალსატევთა სანაპირო ზოლებში /ზონებში/ სამრეწველო საწარმოების განთავსება დასაშვებია მხოლოდ საწარმოს ნაკვეთის უშუალოდ წყალსატევთან მიჯრის აუცილებლობისას წყალთა დაცვისა და გამოყენების რეგულირების ორგანოებთან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოების აღმასკომებთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკათა სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად.

წყალსატევებთან საწარმოთა ნაკვეთების მიჯრის ჩიცხვი და სიგრძე უნდა იყოს მინიმალური.

წყალსატევთა სანაპირო ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განთავსებისას, როცა საწარმოს არა აქვს უშუალო კავშირი მასთან, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გაუნაშენებელი სანაპირო ზოლი სიგანით არანაკლებ 40 მ.

მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დასაცავ ქიმიურ წივთიერებათა საწყობების, ასევე მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საწარმოთა განთავსებისას უნდა იქნას გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავენ აღნიშნულ ნივთიერებათა, ნაკეთობებისა და ჩასადინართა და სკორეს მოხვედრას წყალსატევებში.

მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დასაცავ ქიმიურ ნივთიერებათა საწყობების განლაგება საჭიროა თევზსამეურნეო წყალსატევებიდან არანაკლებ 2 კმ მანძილზე. განსაკუთრებულ აუცილებლობის შემთხვევებში დასაშვებია აღნიშნული საწყობებიდან თევზსამეურნეო წყალსატევებამდე მანძილის შემცირება თევზთა მარაგების დაცვის განმაპირობებელ ორგანოებთან შეთანხმებით.

9.12. დასახლებათა პროექტირებისას აუცილებელია გათვალისწინება წყალსატევთა და პატარა მდინარეთა ნაპირებთან წყალდამცავ ზონათა შექმნა ნაპირიდან, მ, არანაკლებ:

წყალსაცავთათვის 500

პატარა მდინარეთათვის

სიგრძით, კმ:

50-მდე 100

50-ზე მეტი - 100-მდე - 200

100-ზე მეტი - 200-მდე . . 300

წყალმცავ ზონებში /ზოლებში/ აკრძალულია მყარ საყოფაცხოვრებო ნარჩენთა და არასტანდარტიზებულ საშრეწველო ნარჩენების

პოლიგონთა, ნავთობპროდუქტების, შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების შესანახ საწყობთა, მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფერმების, ჩამდინარე წყალთა დამგროვებლების, ასევე საცხოვრებელი სახლების, დასასვენებელი ბაზების და ავტომობილთა სადგომების. ნაგებობა, ხოლო სოფლის დასახლებებში - იმ სამრეწველო საწარმოთა, რომლებსაც არ ექნებათ ცენტრალიზებული კანალიზაცია.

წყალსაცავთა და მათ ქვედა ბიეფთა ექსპლოატაცია, როცა ისინი გამოიყენებიან ან გათვალისწინებულია მათი გამოყენება სამეურნეო-სასმელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო წყალსარგებლობის სათავეებად, - საჭიროა განხორციელდეს სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული და სსრკ სახელმწიფო შეთანხმებული წყალსაცავთა პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის წესების გათვალისწინებით.

ჩამოყალიბებული და პროექტირებადი დასახლების ზონებში, რომლებიც მდებარეობენ წყალსატევთა და წყალსაცავების სანაპიროებთან, წყალდაცვითი ღონისძიებები უნდა პასუხობდნენ სახელმწიფო სტანდარტს 17. 1. 5. 02 - 80 მოთხოვნებს.

9.13. ზედაპირული წყლები /ატმოსფერული ნალექები/ და პირობითად სუფთა საწარმოო წყლები და წყალსატევებში ჩაშვების წინ საჭიროა მექანიკურად გაიწმინდოს სათანადო გამწმენდ ნაგებობებში ან სალექარებში.

დაუშვებელია ზედაპირული წყლების ნაკადის ჩაშვება გაუწმენდავ წყალსატევებში იმ ადგილებთან, რომლებიც განკუთვნილია პლაჟთათვის,

ან ჩაკეტილ ღარტაფებად, რომლებიც შეიძლება დატვირთულ იქნეს მცირე ტვირთით, გამონაკლისის სახით, ნაკადის ნორმალური სიჩქარის დროს.

9.13. ნაკადის ნორმალური სიჩქარის დროს ნაკადის სიჩქარის შემცირების მიზნით, ასევე ნაკადის ტალღისებური მოძრაობის თავიდან ასაცილებლად, ღარტაფებში ტალღის ჩამქრობი ბარიერები უნდა მოეწყოს.

ბარიერების ტიპი, მათი რაოდენობა და განლაგება ღარტაფში უნდა დადგინდეს ჰიდრავლიკური გაანგარიშებით.

ბარიერების სიმაღლე ღარტაფის ბოლოში უნდა იყოს ნაკადის სიღრმის ნორმალური სიდიდის 0,2 ნაწილი, ხოლო ზედა ბიეფში - 0,1 ნაწილი.

ბარიერების ფერდები ნაკადის მიმართულებით უნდა იყოს 1:1 დახრილობის.

9.14. დეკორატიულ წყალსატევებსა და წყალსაცავებში, რომელთა გამოყენებაც ხდება საბანაოდ, თუკი ისინი მდებარეობენ დასახლების ტერიტორიაზე, საჭიროა გათვალისწინებული იყოს შემოდგომა-გაზაფხულის განმავლობაში წყლის ცვლა მათი მედატირული სარკის ფართობის მიხედვით: დეკორატიულ წყალსატევებში მედატირული სარკის 3 ჰა-მდე ფართობისას - ორჯერ, ხოლო ეს ფართობი თუ მეტია 3 ჰა-ზე - ერთხელ; საბანაოდ განკუთვნილ წყალსატევებში - შესაბამისად, ოთხჯერ და სამჯერ, ხოლო როცა ფართობი 6 ჰა-ზე მეტია - ორჯერ.

წყალსატევებში, რომლებიც სამრეწველო ტერიტორიებზე მდებარეობენ, წყლის სიღრმე გაზაფხული-გაზაფხულში უნდა იყოს არანაკლებ 1,5 მ, ხოლო სანაპირო ზონაში წყალმცენარეებისგან პერიოდულად გაწმენდის პირობებში - არანაკლებ 1 მ.

წყალსატევების წყლის ხარისხი და ტიპი ფართობებში საჭიროა მიღებულ იქნას სახელმწიფო სტანდარტ 17.1.5.02-80-ისა და ამ წესების პუნქტ 4.21-ის მოთხოვნათა შესაბამისად. ტყეებისა და სხვა წყალსატევთა სანაპირო ზოლები უნდა იყვნენ კეთილმოწყობილი. საჭიროა ღონისძიებათა გათვალისწინება, რომლებიც გამორიცხავენ ზედაპირული წყლებით წყალსატევთა გაჭუჭყიანებას.

9.15. [illegible] ღონისძიებების გათვალისწინება

საჭიროა ნიადაგის დაცვის კანონმდებლობისა და სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრკ სახაგრომრეწვის და სსრკ სახსტანდარტის მიერ დამტკიცებული სანიტარული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე სხვა უწყებათა მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა სარგებლობის ნიადაგთა წინასწარ დაცვას გაჭუჭყიანებისგან არაუმეტეს იმაზე, ვიდრე ეს განსაზღვრულია ნიადაგთა გამჭუჭყიანებელი ნივთიერებათა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებისთვის დამტკიცებული ნორმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურისგან, ვიბრაციებისგან, ელექტრულ და მაგნიტურ ველთაგან, გამოსხივებისა და დასხივებისგან დაცვა

9.16. ხმაურის დასაშვები დონე საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებისთვის, მათ მიმდებარე ტერიტორიებისთვის, გარე ხმაურის ძირითად წყაროთა ხმაურის მახასიათებლები, მოსალოდნელი ხმაურის დონის განსაზღვრის წესი და საანგარიშო წერტილებში მათი საჭირო შემცირების, არქიტექტურულ-გეგმარებით და სამშენებლო აკუსტიკურ საშუალებათა ხმაურის შემცირების აკუსტიკური ეფექტურობის ანგარიშის მეთოდიკა და მათი პროექტირების ძირითადი მოთხოვნები საჭიროა მიღებულ იქნას სნ და წ II - 12 - 77 შესაბამისად.

9.17. საცხოვრებელ შენობებში ვიბრაციის დასაშვები დონე უნდა შეესაბამებოდეს სნ და წ II - 40 - 80 და სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ საცხოვრებელ სახლებში ვიბრაციის დასაშვებ სანიტარულ ნორმებს. ამ მოთხოვნათა შესასრულებლად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საცხოვრებელ სახლებსა და ვიბრაციის წყაროებს შორის საჭირო მანძილები, აგრეთვე ამ წყაროებზე გამოყენებული უნდა იყოს ეფექტური, ვიბრაციის მთანთქმელი მასალები და კონსტრუქციები.

9.18. რადიოტექნიკური ობიექტების /რადიოსადგურების, რადიოსატელევიზიო გადამცემების და რადიოლოკაციური სადგურების/, სამრეწველო გენერატორების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკაერო ხაზების და სხვა ელექტრომაგნიტურ ენერგიის გამოსხივებელ ობიექტების განთავსებისას საჭიროა ხელმძღვანელობა

რადიოტექნიკური ობიექტებისგან შექმნილი ელექტრომაგნიტურ ველისგან მოსახლეობის დაცვის სანიტარული ნორმებითა და წესებით, ელექტრომადამცემ საკაერო ხაზების სანრეწველო სიხშირის ცვალებადი დენებით შექმნილ ელექტრულ ველისგან მოსახლეობის დაცვის სანიტარული ნორმებითა და წესებით,

დამტკიცებულების სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ, და ასევე ელექტრომადანადგარების მოწყობის წესებით /ემწ/, დამტკიცებულის სსრკ ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციის სამინისტროს მიერ და შეთანხმებულის სსრკ სახმშენთან,

რადიატექნიკური ნივთიერებების და სხვა ორიზაციის გამომწვევ გამოსხივებათა წარმოებისას, დამუშავებისას, გადამუშავებისას, გამოყენებისას, შენახვისას, ტრანსპორტირებისას, გაუვნებლობისას და ჩამარხვისას რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება რადიაციული უსაფრთხოების ნორმების /. რუნ /შესაბამისად, დამტკიცებულის სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ და რადიატექნიკურ ნივთიერებათა და სხვა მაიონიზირებელ გამოსხივებათა წყაროებთან მუშაობის ძირითად სანიტარულ წესებით /ის ნ - 72/87/, დამტკიცებულის სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ და შეთანხმებულის პროფესიონალური კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან, სსრკ სახმშენთან, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სსრკ სახელმწიფო ატომურ ენერგეტიკის კომიტეტთან.

ატომური სადგურების განლაგება და ადამიანების დაცვა

გარე დასხივებისგან ხორციელდება სსრკ მინისტრთა საბჭოს – თბო-ენერგეტიკული კომპლექსის ბიუროს მიერ დამტკიცებული ატომური სადგურების განლაგების მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტირება და ექსპლუატაცია და განლაგება ატომური სადგურებიდან მომავალ ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემების ხორციელდება სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ და სსრკ ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციის სამინისტროსთან და სსრკ ატომური ენერგეტიკის კომიტეტთან შეთანხმებული ატომური სადგურებიდან მომავალ ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემების პროექტირებისა და ექსპლოატაციის სანიტარული მოთხოვნათა შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკროკლიმატის რეგულირება

9.19. საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების განლაგება და ორიენტირება /სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სკოლა-ინტერნატების გამოკლებით/ უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ინსოლაციის უწყვეტი ხანგრძლივობა საცხოვრებელი სათავსოებისა და მათ მიმდებარე ტერიტორიებისა, ზონებისთვის:

ჩ.გ. 58^0 ჩრდილოეთით - არანაკლებ 3 საათისა დღეში, 22 აპრილიდან 22 აგვისტომდე.

ჩ.გ. 58^0 სამხრეთით - არანაკლებ 2,5 საათისა დღეში, 22 მარტიდან 22 სექტემბრამდე.

სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ; ნმრთელობის დაცვისა და დასასვენებელ დაწესებულებათა შენობების განლაგება და ორიენტირება უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას სათავსოების საინსაათიანი ხანგრძლივობის უწყვეტი ინსოლაცია, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა და საცხოვრებელ განაშენიანების ტერიტორიათა ინსოლაციის უზრუნველყოფის სანიტარული ნორმებითა და წესებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. ცხრა და მეტ სართულიან განაშენიანების პირობებში დასაშვებია საცხოვრებელ სათავსოთა ინსოლაციის ერთჯერადი წყვეტადობა იმ პირობით, რომ შესაბამისად გადიდებული იქნება ინსოლაციის ჯამური ხანგრძლივობა, ყოველი ზონის, დღის განმავლობაში 0,5 საათით.

2. ზერიდიანული ტიპის საცხოვრებელ სახლებში, სადაც ხდება ბინის ყოველი ოთახის ინსოლირება, ასევე საცხოვრებელი განაშენიანების რეკონსტრუქციისას ანდა ახალი მშენებლობის ჩანართებისას განსაკუთრებულ რთულ პირობებში /ქალაქის ისტორიული ფასეულობებიანი სფერო, ტერიტორიის მომზადების ძვირადღირებულება, საერთოსაქალაქო და რაიონული ცენტრების ზონა/ დასაშვებია შესაბამისად ყოველ ზონაში სათავსოთა ინსოლაციის ხანგრძლივობის შემცირება 0,5 საათით.

3. იმ რაიონებში, რომლებიც მდებარეობენ ჩ.გ. 62,5° ჩრდილოეთით, როგორც განონაკლისი, თუკი პროექტში იქნება სათანადო დასაბუთება, დასაშვებია საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობების სათავსოების, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების ინსოლაციის ხანგრძლივობის შემცირება 0,5 საათით იმ პირობით, რომ მცხოვრებთა და სათავსოთა ულტრაიისფერი დასხივების უკმარისობა კომპენსირებული იქნება ტექნიკური საშუალებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა

9.20. ქალაქების და სოფლის დასახლებების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებში საჭიროა დაცულ იქნას სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის დებულების მოთხოვნები და სარკომპრექტექტურისა და სსრკ კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მეთოდიკური მითითებები ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გამოყენების შესახებ, როგორც ქალაქმშენებლობის ფაქტორებისა ქალაქების გენერალური გეგმებისა და დეტალური დაგეგმარების პროექტების დამუშავებისას.

ანალოგიურად საჭიროა დაიდგინოს იქნას ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ზონები, აგრეთვე განაშენიანების რეგულირებისა და ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის ზონები.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ზონები დგინდება ცალკეული შენობებისა და ნაგებობებისთვის, მათი ანსამბლებისა და კომპლექსებისთვის, ასევე სხვა ისტორიულ-კულტურულ ღირებულების მქონე ქალაქთმშენებლობის ელემენტებისთვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ყოველი კონკრეტული ნაკრძალის /ნაკრძალი ტერიტორიის/ დაცვისა და გამოყენების დებულებით დადგენილი სპეციალური რეჟიმის მოთხოვნები უნდა ვრცელდებოდნენ ძველ ქალაქთა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ანსამბლებსა და კომპლექსებზე, ისტორიულ

ცენტრებზე, კვარტალებზე, მოედნებზე, ქუჩებზე, სამახსოვრო ადგილებზე, ძველი ქალაქების კულტურულ ფენებზე, ბუნებრივ და ხელოვნურ ლანდშაფტებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული ღირებულებისანი არიან და რომელნი წესების შესაბამისად გამოცხადებული იქნენ ისტორიულ-არქიტექტურულ ნაკრძალებად ან ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ტერიტორიებად /ადგილებად/.

9.21. ქალაქისა და სოფლის დასახლებათა დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები არ უნდა ითვალისწინებდნენ ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღებას, გადაადგილებას ანდა მათ მდგომარეობის სხვა ცვლილებებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში წინადადებები საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ძეგლთა მდგომარეობის შეცვლის შესახებ საჭიროა განსახილველად წარდგენილ იქნას სსრკ მინისტრთა საბჭოში, ყველა სხვა ძეგლის მიმართ შემუშავებული წინადადებები ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ – მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში.

არსებულ განაშენიანებათა რაიონების ისტორიულ ღირებულების მქონე სფეროთა დაცვის უზრუნველყოფა საჭიროა კომპლექსური რეკონსტრუქციის მეთოდებით, არქიტექტურულ და კულტურული ღონისძიებების შერობათა სარესტავრაციო, სარეკონსტრუქციო, სამოდერნიზაციო და კაპიტალური რემონტის ერთდროული შესრულებითა და ახალ მშენებლობათა შერჩევითი განხორციელებით, ისე რომ არ დაირღვეს სფეროს იერსახასიათებლურობის ერთიანობა, და ასევე საინჟინრო მოწყობილობათა და ტერიტორიების კეთილმოწყობის განვითარების სისტემები.

9.22. მანძილები ძაბრიისა და კაბელის ძელებიდან სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციებამდე საჭიროა გაინსაზღვროს მ, არანაკლებ:

ჩქაროსნული მაგისტრალებისა და უწყვეტი მოძრაობისთვის განკუთვნილ სავალ ნაწილებამდე,

მცირე ჩაღრმავების მეტროპოლიტენების ხაზებამდე:

რთული რელიეფის პირობებში 100

სწორი რელიეფისას 50

წყალსადენის, კანალიზაციის და თბომომარაგების /გარდა სარიგებელ/ ქსელებამდე 15

სხვა მიწისქვეშა საინჟინრო ქსელებამდე 5

რეკონსტრუქციისას აღნიშნული მანძილები საინჟინრო ქსელებამდე დასაშვებია შემცირდეს, მაგრამ მიღებულ იქნას, მ, არანაკლებ: წყალგამტარ სისტემებამდე – 5; არაწყალგამტარ სისტემებამდე – 2. ამასთანავე სამშენებლო სამუშაოთა ჩატარებისას აუცილებელია სპეციალური ტექნიკური ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა.

დანართი 1

სავალდებულო

ხანძარსაწინაღო მოთხოვნები

1. ხანძარსაწინაღო მანძილები საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სამრეწველო საწარმოთა დამხმარე შენობებს შორის საჭიროა განისაზღვროს ცხრილი 1-ის მიხედვით, ხოლო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოო ობიექტებს შორის სნ და წ II - 89 - 80 -ისა და სნ და წ II - 97 - 76 -ის მოთხოვნათა მიხედვით.

მინიმალური მანძილები საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის დამხმარე შენობებიდან სამრეწველო შენობებამდე და I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის გარაჟებამდე საჭიროა მიღებულ იქნას არანაკლებ 9 მ, ხოლო საწარმოო შენობებამდე, თუ ისინი გადახურულია პოლიმერული ან ისეთ მასალისაგან, რომელიც იწვის, – 15 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

შენობის ცეცხლმედეგობის ხარისხი	მანძილები, მ, შენობების ცეცხლმედეგობის ხარისხისას		
	I, II	III	IIIა, IIIბ, IV, IVა, V
I, II	6	8	10
III	8	8	10
IIIა, IIIბ, IV, IVა, V	10	10	15

შენიშვნები:

1. შენობების კლასიფიკაცია ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით საჭიროა მიღებულ იქნას სნ და წ 2.01.02 - 85 მოთხოვნათა შესაბამისად.

2. შენობებსა და ნაგებობებს შორის მანძილად ითვლება ის მანძილი, რომელიც არის გარეთა კედლებსა და სხვა კონსტრუქციებს შორის. თუ შენობებსა და ნაგებობებს აქვთ 1 მ - ზე მეტი გამოწეული კონსტრუქციები,

გაკეთებულები ისეთი მასალებისგან, რომლებიც ცეცხლში იწვიან, მაშინ მიიღება მანძილები არ კონსტრუქციებს შორის.

3. მანძილი შენობათა ისეთ კედლებშორის, რომლებსაც არ გააჩნიათ ფანჯრის ღიობები დასაშვებია შემცირდეს 20 %, გარდა იმ შენობებისა, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხია $III^{ა}$, $III^{ბ}$, IV, $IV^{ა}$ და V:

4. იმ რაიონებში სადაც სეისმურობა 9 ბალს აღწევს მანძილები საცხოვრებელ შენობებსა და ასევე $IV^{ა}$ და V ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებშორის საჭიროა გადიდდეს 20 %.

5. მანძილები ნებისმიერი ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობებიდან $III^{ა}$, $III^{ბ}$, IV, $IV^{ა}$ და V ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობებამდე 100 კმ სიგანის სანაპირო ზოლში, მაგრამ არა უფრო შორს, ვიდრე უახლოეს მთის ქედამდე, კლიმატურ $I^{ბ}$, $I^{გ}$, $II^{ა}$ და $II^{ბ}$ რაიონებში საჭიროა გადიდდეს 25 %.

6. მანძილები IV და V ხარისხის ცეცხლმედეგობის საცხოვრებელ შენობებს შორის $I^{ა}$, $I^{ბ}$, $I^{გ}$ და $II^{ა}$ კლიმატურ რაიონებში საჭიროა გადიდდეს 50 %.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კარკასულ და ფარისებრ კონსტრუქციის ორსართულიან V ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობებისთვის, ასევე ცეცხლში წვადი მასალებისგან გადახურულ შენობებისთვის, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები აუცილებელია გადიდდეს 20 %.

8. მანძილები I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობებს შორის დასაშვებია გათვალისწინებული იქნას 6 მ-მდე ნაკლები იმ პირობით, რომ უფრო მაღალი შენობის კედელი, განლაგებული მეორე შენობის წინ, ხანძარსაწინააღმდეგოა.

9. მანძილები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთ, ორბინიან საცხოვრებელ სახლებიდან და სამეურნეო ნაგებობებიდან /ფარდულიდან, გარაჟიდან, აბანოდან/ მეზობლად, მიწის ნაკვეთზე განლაგებულ საცხოვრებელ სახლებამდე და სამეურნეო ნაგებობებამდე, მიიღება ცხრილ 1-ის მიხედვით, მე-10 შენიშვნის გათვალისწინებით.

მანძილები საცხოვრებელ სახლსა და სამეურნეო ნაგებობებს შორის, ასევე სამეურნეო ნაგებობებს შორის მიწის ერთი ნაკვეთის ფარგლებში /განაშენიანების ჯამობრივი ფართობის მიუხედავად/ არ ნორმირდება.

10. მანძილები საცხოვრებელ შენობებს შორის, ასევე საცხოვრებელ შენობებსა და სამეურნეო ნაგებობებს /ფარდულებს, გარაჟებს, აბანოებს/ შორის არ ნორმირდება, თუკი განაშენიანების ჯამობრივი ფართობი, მათ შორის მდებარე განაშენიანების ფართობის ჩათვლით, ნაკლია ცეცხლმედეგობის იმავე

ხარისხის ერთი შენობის /სართულის/ უდიდესი დასაშვები განაშენიანებული ფართობის, ცეცხლ-მედეგობის კლასის მიხედვით, თანახმად სნ და წ 2.02.01-85-ის

11. მანძილები სამეურნეო ნაგებობებს /ფარდულებს, გარაჟებს, აბანოებს/ შორის, რომლებიც განლაგებულია საკარმიდამო ნაკვეთების ფარგლებს გარეთ, არ ნორმირდება, თუკი ბლოკირებული სამეურნეო ნაგებობებით განაშენია-ნებული ფართობი არ აღემატება 800 მ².

მანძილები ბლოკირებულ სამეურნეო ნაგებობების ჯგუფებს შორის მიიღება ცხრილი 1-ის მიხედვით.

---

2. მისასვლელებისა და შიდა საუბნო გზათა დაპრო-ექტებისას აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას საცხოვრე-ბელ და საზოგადოებრივ შენობებთან, მათ შორის ჩაშენე-ბულ – მიშენებულ სათავსოებთან სახანძრო მანქანათა მისვლის შესაძლებლობები და ასევე მეხანძრეთა და ავტო-კიბეთა ან ავტოამწეების ნებისმიერ ბინასთან ანდა სათავსოსთან მისადგომები.

მანძილი მისასვლელის კიდიდან შენობის კედლამდე, როგორც წესი, საჭიროა მიღებული იყოს 5 – 8 მ 9 სა-რთულზე ნაკლებ სიმაღლის შენობებისათვის და 8 – 10 მ

ჭ სართულიან და უფრო მაღალ შენობებისათვის. ამ ზონაში არ დაიშვება ღობეების გაკეთება, არც საჰაერო ელექტრო-გადამცემი ხაზის გაყვანა და მრავალწლიანი ხეთა დარგვა.

უსაფრთხოებლო შენობათა ფასადის გასწვრივ დასაშვებია გათვალისწინებულ იქნას 6 მეტრის სიგანის ზოლები, ვაკ-ეები სახანძრო მანქანათა სამოძრაოდ, მათ საფარსა ან გრუნტზე დასაშვები დატვირთვის გათვალისწინებით.

3. მანძილები საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენო-ბებიდან ნავთისა და ნავთის პროდუქტების შესანახ I ჯგუ-ფის საწყობებამდე საჭიროა მიღებულ იქნას სნ და წ II – 106 – 79 მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო II ჯგუფის საწყობებამდე იმ საწვავ სითხეთა, რომელთა მიწოდებაც გათვალისწინებულია საცხოვრებელ და საზოგა-დოებრივ შენობათა [illegible] საქვაბეების, დიზელის ელექტროსადგურების და სხვა ენერგოობიექტების სისტე-მებში, არანაკლებ ცხრილი 3-ით მიღებულისა.

4. მდინარეებთან და წყალსატევებთან საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მისასვლელები სახანძრო მანქა-ნებისათვის წყლის ასაღებად.

5. მანძილები ქალაქების განაშენიანების დასახლე-ბების საზღვრებიდან ტყეების მასივებამდე უნდა იყვნენ არანაკლებ 50 მ, ხოლო სოფლის განაშენიანების

დასახელებებიდან და საბაღე ამხანაგობებიდან არანაკლებ 15 %.

ცხრილი 2.

საწყობის ტევადობა მ³	საცხოვრებელი და საზოგადოებრივ შენობათა ცეცხლმედეგობის ხარისხი		
	I, II,	III	IIIა, IIIბ, IV, IVა, V
800-ზე მეტი 10000 მდე	40	45	50
100-ზე მეტი 800 -მდე	30	35	40
100-ამდე	20	25	30

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა .

ბანძილები სკოლამდე მავშვთა დაწესებულებებიდან, მოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან, სკოლა-ინტერნატებიდან, ჯანმრთელობის დაცვისა და დასასვენებელი დაწესებულებებიდან, საწარმოებიდან დაწესებულებებიდან და სპორტული ნაგებობებიდან საწყობამდე - ტევადობით 100 $მ^3$ საჭიროა გადიდდეს ორჯერ, ხოლო საწყობამდე - ტევადობით 100 $მ^3$- ზე მეტი - საჭიროა მიღებულ იქნას სნ და წ II - 106 - 79 წესებისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი 2

სავალდებულო

მოთხოვნები, საჰაერო ხომალდთა ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით, აეროდრომების რაიონებსა და სხვა ტერიტორიებზე ობიექტების განლაგების შესათანხმებლად

საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებთანაც აუცილებელია შეთანხმება, აგზავნის სამხედრო ოლქის სამხედრო საჰაერო ძალთა გაერთიანების შტაბი, რომლის პასუხისმგებლობის ზონაშიაც ნავარაუდევია მშენებლობა. შტაბის მისამართი შეუძლიათ გაიგონ საპროექტო დოკუმენტაციების დამკვეთებს ან საპროექტო ორგანიზაციებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების ადგილობრივ სამხარეო და საოლქო ორგანოებში.

შეთანხმებას საჭიროებენ განლაგებები:

1. ყველა ობიექტი აეროდრომის საჰაერო მისასვლელის ზოლის საზღვრებში, აგრეთვე ამ მისასვლელთა საზღვრებს გარეთ აეროდრომის საკონტროლო წერტილიდან /აკწ/ 10 კმ რადიუსში;

2. ობიექტები აეროდრომის საკონტროლო წერტილიდან / ა ს წ / 30 კმ რადიუსში, რომელთა სიმაღლეც აეროდრომის დონესთან შედარებით 50 მ და მეტია;

განლაგების ადგილის მიუხედავად:

3. ობიექტები სიმაღლით მიწის ზედაპირიდან 50 მ და მეტი;

4. კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზები, ასევე სხვა რადიო და ელექტრომაგნიტურ გამოსხივებათა მქონე ობიექტები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ხელშემშლელი პირობები რადიოტექნიკურ საშუალებათა ნორმალური მუშაობისთვის;

5. აფეთქებასაშიში ობიექტები;

6. ფეკალური მოწყობილობები, განკუთვნილები ავარიულ შემთხვევებში ზედმეტი გაზების დასაწვავად 1/

7. სამრეწველო და სხვა საწარმოები და ნაგებობები, რომელთა მოქმედებასაც შეუძლია გამოიწვიოს აეროდრომის რაიონში ხილვადობის გაუარესება.

1/ ფეკალურ მოწყობილობათა სიმაღლის გასაზღვრისას მხედველობაში მიიღება ალის აწევის შესაძლებლობის მაქსიმალური სიმაღლე.

ობიექტების განაგება, რომლებიც მოხსენებულია 3-7 პუნქტებში, მათი გათავისების ადგილის მიუხედავად, განდგა აღნიშნულისა, საჭიროა შეთანხმდეს სამხედრო ოქის შტაბთან და სამხედრო საჰაერო ძალთა გაერთიანების შტაბთან, რომელთა პასუხისმგებლობის ტერიტორიასა და ზონაშიც ნავარაუდევია მშენებლობა.

აკრძალულია აეროდრომის საკონტროლო ზონიდან 15 კმ მანძილზე უფრო ახლო განაგდეს საკვების ნარჩენების გადასაყრელი ადგილი, აშენდეს ნადირთმოსაშენებელი ფერმები, საქონელთსასაკლაო და სხვა ობიექტები, რომლებიც გამოირჩევიან ფრინველთა მიზიდვით ან მათი ფასიური თავმოყრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. აღნიშნული შეთანხმებები კარგავენ ძალას, თუკი სამი წლის განმავლობაში არ დაიწყება სათანადო ობიექტების მშენებლობა.

2. აეროდრომის საკონტროლო წერტილი თავსდება აეროდრომის გეომეტრიული ცენტრის ახლოს:

ერთი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის /ად8/ შემთხვევაში მის ცენტრში;

ორი პარალელური ასაფრენ - დასაფრენი ზოლის /ად8/ შემთხვევაში - მათი ცენტრების შემაერთებელი წრფის ცენტრში;

ორი არაპარალელური ასაფრენ-დასაფრენი ზოლის /ად8/ შემთხვევაში —

— /ად8/ ასაფრენ - დასაფრენი ზოლების ცენტრებიდან აღმართული პერპენდიკულარების გადაკვეთის წერტილში.

3. საბუთებში, რომლებიც უნდა იქნან წარდგენილი მაღალი ნაგებობების განთავსებათა შესათანხმებლად, ყველა შემთხვევაში აუცილებელია ნაჩვენები იყოს დასაპროექტებელ ნაგებობათა განლაგების კოორდინატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 3

საორიენტაციო

საკარმიდამო და საბინაო მიწის ნაკვეთების ზომები

საცხოვრებელი სახლებთან ახლოს ინდივიდუალურ სახლისთვის /, ან ბინისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთის ზომები, ასაშენებელ სახლთა ტიპების, ფორმირებად განაშენიანების ხასიათის /სფეროს/, სხვადასხვა სიდიდის ქალაქში მისი განლაგების მიხედვით, შეადგენია:

400 - 600 მ^2 და მეტი /განაშენიანების ფართობის ჩათვლით/, - ერთ-ორბინიან, ერთ - ორსართულიან საკარმიდამო ტიპის სახლებით ახალი პერიფერიული ტერიტორიების განაშენიანებისას ან ხტარა ქალაქების არსებული ინდივიდუალური საკარმიდამო - განაშენიანების რეკონსტრუქციისას, ასევე სასოფლო-სამეურნეო რაიონებში პატარა და საშუალო ქალაქების სარეზერვო ტერიტორიებზე, ახალი ან წებისმიერ სიდიდის ქალაქის საგარეუბნო ზონის აღწერილობაში დასახლების არსებული ინდივიდუალური საკარმიდამო განაშენიანების რეკონსტრუქციისას;

300 - 400 მ^2 /განაშენიანების ფართობის ჩათვლით/ - ერთი- , ორ ან ოთხბინიან ერთ - , ორსართულიან კოტეჯის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპის სახლებით ჰაჭარა, საშუალო და დიდი ქალაქების პერიფერიული ტერიტორიების და დიდი ქალაქების სარეზერვო ტერიტორიების განაშენიანებისას, წებისმიერი სიდიდის ქალაქის საგარეუბნო ზონის განვითარებადი დასახლების და ახალ და არსებულ ინდივიდუალურ საკარმიდამო განაშენიანების რეკონსტრუქციისას.

60 - 100 მ^2 /განაშენიანების ჭარბობის ჩაუთვლელად/ - მრავალბინიან ერთ - , ორ- , სამსართულიან ბლოკირებული ტიპის სახლებით ჰაჭარა, საშუალო და დიდი ქალაქების ახალ პერიფერიულ ტერიტორიების განაშენიანებისას, დიდ და მსხვილ ქალაქების სარეზერვო ტერიტორიების, მსხვილ და უმსხვილეს ქალაქების საგარეუბნო ზონის ახალ და განვითარებად დასახლებების განაშენიანებისას და წებისმიერი სიდიდის ქალაქის არსებული ინდივიდუალური საკარმიდამო განაშენიანების რეკონსტრუქციის პირობებში.

30 - 60 მ^2 /განაშენიანების ჭარბობის ჩაუთვლელად/ - მრავალბინიან ერთ - , ორ - , სამსართულიან ბლოკირებულ სახლებით 2 - , 3 - 4 / 5 / - სართულიან, რომელ მოცულობით - სივრცითი სტრუქტურის სახლებით /მათ შორის მხოლოდ პირველი სართულის ბინებისთვის/ წებისმიერი სიდიდის ქალაქის მცირესართულიან განაშენიანებისას და რეკონსტრუქციის პირობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 4

სარეკომენდაციო

საცხოვრებელი რაიონისა და მიკრორაიონის ტერიტორიის მოსახლეობის საანგარიშო სიმჭიდროვე

მოსახლეობის საანგარიშო სიმჭიდროვე, ადამიანი /ჰა, საცხოვრებელი რაიონის ტერიტორიისათვის რეკომენდებულია მიღებულ იქნას არანაკლებ ცხრილ 1-ში მოცემულისა, ხოლო მიკრორაიონის ტერიტორიისათვის - არანაკლებ ცხრილ - 2-ში მოცემულია.

სხვადასხვა ხარისხის ქალაქთმშენებლობითი ღირებულების ტერიტორიათა ზონების რიცხვი და მათი საზღვრები დგინდება ქალაქის /ოლქის, მხარის/ მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებით, მიწების ღირებულებათა, საინჟინრო და სატრანსპორტო მაგისტრალური ქსელების სიმჭიდროვის, საზოგადოებრივ დანიშნულების ობიექტთა რაოდენობის, ისტორიულ-კულტურული და არქიტექტურულ - ლანდშაფტურ ფასეულობათა და ტერიტორიის საინჟინრო მომზადების კაპიტალურ დაბანდებათა გათვალისწინებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

ხვადასხვა ხარისხის ალაქთმშენებლობითი ირებულების ტერიტორიათა ზონები	საცხოვრებელი რაიონის ტერიტორიის მოსახლეობის სიმჭიდროვე, ადამიანი /ჰა, ქალაქების ჯგუფისთვის მცხოვრებთა რიცხვით, ათასი ადამიანი						
	20-მდე	20-50	50-100	100-250	250-500	500-1000	1000-ზე მეტი
მაღალი	130	165	185	200	210	215	220
საშუალო	–	–	–	180	185	200	210
დაბალი	70	115	160	165	170	180	190

შენიშვნა:

1. როცა მშენებლობა ხორციელდება იმ რაიონებში, რომლებიც მდებარეობენ ჩ.გ. 58° ჩრდილოეთით, ასევე ისეთ მოედნებზე, რომელთა ტერიტორიებიც საჭიროებენ რთულ საინჟინრო მომზადებებს, მოსახლეობის სიმჭიდროვე საჭიროა გადიდდეს, მაგრამ არა უმეტეს – 20 %.

2. ისტორიული ქალაქების არსებულ ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქციისას, ასევე ისტორიულ-კულტურული და არქიტექტურულ-ლანდშაფტურ ღირებულებებიან სხვა ნაწილებშიც, მოსახლეობის სიმჭიდროვე უნდა დადგინდეს საპროექტო დავალებით.

3. რაიონებში, სადაც ხორციელდება ინდივიდუალური საკარმიდამო მშენებლობა და დასახლებებშიც, სადაც არ არის გათვალისწინებული ცენტრალური საინჟინრო ქსელების გაყვანა, დასაშვებია შემცირდეს მოსახლეობის სიმჭიდროვე, მაგრამ არ უნდა იყოს ნაკლები 40 ადამიანისა /ჰა.

4. სეისმურ რაიონებში მოსახლეობის საანგარიშო სიმჭიდროვე საჭიროა განისაზღვროს რეგიონალური /რესპუბლიკური/ ნორმების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ც ხ რ ი ლ ი 4

სხვადასხვა საბის ქალაქმშენებლობითი ღირებულების ტერიტორიათა ზონები	მიკრორაიონის ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმჭიდროვე ადამიანი/ჰა, კიომატურ ზონებისთვის		
	I^{ბ} და ნაწილი ზონებისა I^{ა}, I^{ბ}, I^{დ} და II^{ა} ჩ.გ. 58^{0} ჩრდილოეთით	I^{გ}, II^{ბ} და II^{გ} ჩ.გ.50^{0} ჩრდილოეთით და ნაწილი ზონებისა I^{ა}, I^{ბ}, I^{დ} და II^{ა} ჩ.გ. 58^{0} სამხრეთით	ჩ.გ. 58^{0} სამხრეთით, გარდა I^{ა}, I^{ბ}, I^{დ} და II^{ა} ქვეზონების ნაწილებისა, რომლებიც შედიან ოცეანურ ზონაში
მ ა ღ ა ლ ი	440	420	400
ს ა შ უ ა ლ ო	370	350	330
დ ა ბ ა ლ ი	220	200	180

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. მიკრორაიონების საარგარიშო ტერიტორიათა საზღვრები საჭიროა დადგინდეს მაგისტრალური და საცხოვრებელი ქუჩების წითელი ხაზებით, გასასვლელთა და ფეხით სავალ გზათა ღერძებით, ბუნებრივი მიჯნებით, ხოლო მათი არარსებობისას - 3 მ მანძილზე გაანგარიშების ხაზიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშო ტერიტორიებიდან უნდა გამოირიცხოს იმ ნაკვეთთა ფართობები, რომლებიც უკავიათ რაიონული და საერთოსაქალაქო მნიშვნელობის ობიექტებს, ასევე იმ ობიექტებს, რომლებსაც აქვთ ისტორიულ-კულტურული და არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ღირებულება, აგრეთვე ყოველდღიურ მოხმარების ობიექტებს, გაანგარიშებულებს მიმიჯნულ მიკრორაიონების მოსახლეთა, წორმირებით დასაშვებ რადიუსთა ფარგლებში, მომსახურეობისთვის /პროპორციულად მოსახლეობის იმ რიცხვისა, რომლის მომსახურეობაც ხდება/.

საანგარიშო ტერიტორიაში საჭიროა ჩათვალოს ყველა ნაკვეთთა ფართობებს, დაკავებული ყოველდღიური მოხმარებისა და საანგარიშო მოსახლეობის მომსახურე ობიექტებით, მათ შორის მომიჯნავე ტერიტორიებსა და მიწისქვეშა და ზედაპირული სივრცეებში განლაგებული .

რეკონსტრუქციისას შექმნილ გაანაშენიანებებში მიკრორაიონის საანგარიშო ტერიტორიაში საჭიროა ჩაითვალის ტერიტორიები ქუჩების, რომლებიც ყოფენ კვარტლებს და რომელთა შენარჩუნებაც ხდება ჯერით მოისარგებლეთათვის მიკრორაიონის შიგნით, ან შენობებთან მისასვლელად.

2. არსებული განაშენიანების რეკონსტრუქციისას მოსახლეობის სიმჭიდროვე დასაშვებია გადიდდეს ან შეცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 10 %.

3. მსხვილ და უმსხვილეს ქალაქებში 2 -, 3-, 4/5/ - სართულიან მაღალი სიმჭიდროვის საცხოვრებელ განაშენიანებისას მოსახლეობის საანგარიშო სიმჭიდროვე საჭირო მიღებულ იქნას არანაკლებ ვიდრე საშუალო ქალაქთმშენებლობითი ღირებულების ზონისთვის: იმ მოედნების განაშენიანებისას, რომლებიც ითხოვენ ტერიტორიის საინჟინრო მომზადებისთვის რთულ ღონისძიებათა ჩატარებას, - არანაკლებ ვიდრე მაღალი ქალაქთმშენებლობითი ღირებულების ტერიტორიათა ზონებისთვის.

4. სეისმურ რაიონებში მოსახლეობის საანგარიშო სიმჭიდროვე აუცილებელია მიღებული იყოს რეგიონალურ /რესპუბლიკურ/ ნორმათა შესაბამისად, მაგრამ, როგორც წესი, არა უმეტეს 300 ადამიანისა/ ჰექტარზე.

5. მიკრორაიონებში მოსწავლეთათვის და მოსახლეობისთვის ერთიანი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფორმირებისას და ამ ნორმების პუნქტ 2.13-ში მოცემულ ფიზკულტურული მეცადინეობებისთვის მოედნების ხვედრითი ზომების შემცირების შემთხვევებში, აუცილებელია სათანადოდ გაიზარდოს მოსახლეობის სიმჭიდროვე.

6. ტყეებისა და ტყეპარკების მიმდებარედ ან მათ გარშემორტყმაში არსებულ ტერიტორიათა განაშენიანებისას დასაშვებია გასამწვანებელ ტერიტორიათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამობრივი ფართობის შემცირება, მაგრამ არა უმეტეს - 30%, შესაბამისად მოსახლეობის სიმჭიდროვის გადიდებით.

7. სიმჭიდროვის მაჩვენებლები მოცემულია საცხოვრებელი ფართის საანგარიშო უზრუნველყოფით - 18 მ^2/ ადამიანზე. საცხოვრებლით სხვა საანგარიშო უზრუნველყოფისას საანგარიშო წორმატული სიმჭიდროვე ρ, ადამ./ჰა, საჭიროა გაინსაზღვროს ფორმულით:

$$\rho = \frac{\rho_{18} \cdot 18}{H}$$

სადაც ρ_{18} - სიმჭიდროვის მაჩვენებელია, როცა 18 მ^2/ ადამიანზე;

H - საანგარიშო უზრუნველყოფა საცხოვრებლით, მ^2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი 5

საორიენტაციო

ბინახლოების საანგარიშო სიმჭიდროვე სოფლის დასახლების საბინახლო ტერიტორიაზე

საბინის ტიპი	ბინახლოების სიმჭიდროვე, ადამ./ჰა, ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობისას, ადამ.							
	2,5	3,0	3,5	4,0	4,5	5,0	5,5	6,0
საკარმიდამო, მიმდებარე ნაკ-ვეთით, მ²:								
2000	10	12	14	16	18	20	22	24
1500	13	15	17	20	22	25	27	30
1200	17	21	23	25	28	32	33	37
1000	20	24	28	30	32	35	38	44
800	25	30	33	35	38	42	45	50
600	30	33	40	41	44	48	50	60
400	35	40	44	45	50	54	56	65
სექციური, საწარმოო რიცხვით:								
2	–	130	–	–	–	–	–	–
3	–	150	–	–	–	–	–	–
4	–	170	–	–	–	–	–	–

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 6

სარეკომენდაციო

საწყობების მიწის ნაკვეთების ფართობები და ზომები

ცხრილი 1

სავაჭრო-სასაქონლო საწყობების მიწის ნაკვეთების ფართობები 1 ათას ადამიანისათვის

სავაჭრო-სასაქონლო საწყობები	საწყობების ფართობები, $მ^2$		მიწის ნაკვეთების ზომები, $მ^2$	
	ქალაქებისათვის	სოფლის დასახლებისათვის	ქალაქებისათვის	სოფლის დასახლებისათვის
სასურსათო საქონელთათვის	77	19	310ˣ / 210	60
არასასურსათო საქონელთათვის	217	193	740ˣ / 490	580

x მრიცხველად მოცემულია ნორმები ერთსართულიან საწყობებისათვის, მნიშვნელად - მრავალსართულიანთათვის /სართულთა საშუალო სიმაღლე - 6 მ/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. სპეციალიზირებულ ჯგუფთა წევრდგენლობაში საერთოსასაქონლო საწყობები განლაგებისას მიწის ნაკვეთების ზონები რეკომენდირებულია შეიცირდეს 30 %-მდე.

2. იმ ზონებში, სადაც ვადაზე ადრე ხდება საქონელთა შეზოზიდვა - მიწის ნაკვეთების ზომები საჭიროა გაიზიდეს 40 %.

3. საერთოსასაქონლო საწყობების სასაქონლო ბარაგთა დონე საცალო გაყიდვის დღეთა რიცხვის მიხედვით /საქონელბრუნვის/ უნდა დადგინდეს ნოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროების, ოლქის /მხარის/ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომთა ვაჭრობის სამმართველოების ძალით.

4. სოფლის დასახლებებში, რომლებისთვისაც ხდება სასაქონლო ბარაგთა შენახვა - საწყობთა ტერიტორიები და მათი მიწის ნაკვეთების ზომები შეიძლება გაიზიდეს სათანადოდ ამ მარეგულირებელთა ქალაქებში ერთდროულად შემცირებით.

ც ხ რ ი ლ ი 2

სპეციალიზირებული საწყობების ტევადობა და მიწის ნაკვეთების ზომები 1 ათას ადამიანისათვის

სპეციალიზირებული საწყობები	საწყობების ტევადობები, ტ.		მიწის ნაკვეთების ზომები, მ²	
	ქალაქებისთვის	სოფლის დასახლებისთვის	ქალაქებისთვის	სოფლის დასახლებისთვის
გამანაწილებელი მაცივრები /ხორცისა და ხორცის პროდუქტების, თევზისა და თევზის პროდუქტების, სურსათთა, კარაქის, ცხოველური ზეთის, რძის პროდუქტების და კვერცხების/	27	10	190[X] / 70	25
ხილსაცავები	17	90	1300[X] / 610	380
ბოსტნეულსაცავები	54			
კარტოფილსაცავები	57			

X მრიცხველში მოცემულია ნორმები ერთსართულიან საწყობებისთვის, მნიშვნელში - მრავალსართულიანთათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. რ. რაიონებში სადაც მოყავთ და ამზადებენ კარტოფილს, ბოსტნეულს და ხილს, საწყობების ტევადობა და სათანადოდ მიწის ნაკვეთის ზომები მიიღება კოეფიციენტით – 0,5:

2. ქალაქებში კარტოფილისა და ხილის შესანახთა ტევადობა და მიწის ნაკვეთთა ზომები საჭიროა შემცირდეს შესანახთა ქალაქგარეთ ორგანიზების ხარჯზე. ამ მიზნით საჭირო მონაცემთა დადგენა ხდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა, ოლქის /მხარის/ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომთა ვაჭრობის სამმართველოების მიერ.

ცხრილი 3

საველე და საექსპედიციო დასახლებების საწყობების ტევადობები 1 ადამიანისათვის

საწყობები, გაზომილების ერთეული	საწყობების ტევადობები დასახლებებისთვის	
	საველე	საექსპედიციო
მშრალი სურსათისთვის, $მ^3$ . . .	0,3	3,5
მაცივრები, მ...	0,01	0,1
ბოსტნეულსაცავები, კარტოფილსაცავები, ხილსაცავები, ტ.	0,5	0,5

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : საველე დასახლებებისთვის მშრალი სურსათისა და მაცივრებისთვის ნორმა დადგენილია - -ერთთვიანი მარაგის ანგარიშიდან გამომდინარე, ხოლო საექსპედიციო დასახლებებისთვის - ერთწლიანი მარაგის ანგარიშიდან გამომდინარე. ბოსტნეულის, კარტოფილის და ხილის შენახვის ნორმები დადგენილია ერთი წლის მარაგის გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ც ხ რ ი ლ ი 4

სამშენებლო მასალებისა და მყარი საწვავის საწყობთა მიწის ნაკვეთების ზომები 1 ათას ადამიანისთვის

საწყობები	მიწის ნაკვეთების ზომები, მ²
სამშენებლო მასალების საწყობები /სამომხმარებლო/	300
მყარი საწვავის საწყობები უპირატესად:	
ნახშირისთვის . . .	300
შეშისთვის	300

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . მყარი საწვავის საწყობთა მიწის ნაკვეთების ზომები $I^{ა}$, $I^{ბ}$ და $I^{გ}$ კლიმატურ ქვერაიონებისთვის საჭიროა მიღებულ იქნას კოეფიციენტით 1,5, ხოლო IV კლიმატურ რაიონისთვის – კოეფიციენტით 0,6.

დ ა ნ ა რ თ ი 7

სარეკომენდაციო

მომსახურების დაწესებულებებისა და საწარმოების საანგარიშო ნორმები და მათი მიწის ნაკვეთების ზომები

დაწესებულებები, საწარმოები, ნაგებობები, გაანგარიშების ერთეული	რ ი ც ხ ვ ი [1]	მიწის ნაკვეთების ზომები	შენიშვნები
1	2	3	4
	სახალხო განათლების დაწესებულებები		
სკოლამდელი ბავშვთა დაწესებულებები, ადგილი	ისაზღვრება დასახლების დემოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით, სკოლამდელი	ბაგა-ბაღების ტევადობი-სას, $მ^2$ – ერთ ადგილზე: 100 ადგილამდე – 40,	

1	2	3	4
	ასაკის ბავშვების დაწესე- ბულებით უზრუნველყოფის საანგარიშო დონის მიღებით 85 % საზღვრებში, მათ შორის საერთო ტიპის დაწესებულებებით – 70 %, სპეციალიზირებულით – 3 %, გამაჯანსაღებლით – 12 %. დასახლება-ახალშენებში[2] დემოგრაფიული მონაცემების არარსებობისას საჭიროა მიღება 180 ადგილისა 1 ათ- ას. ადამ.;	100-ზე მეტისას – 35; ბაგა-ბაღების კომპლექსში 500 ადგ. მეტისას – 30. მწვანე ზონების ზომები დასაშვებია შემცირდეს : 30 – 40 % – $I^{ა}$, $I^{ბ}$, $I^{ვ}$, $I^{დ}$ და $II^{ა}$ კლიმატურ რაიონებში; 25 % – რეკონ- სტრუქციის პირობები, 15 %-ით 20 %-ზე მეტ ქანობიან რელიეფზე გან- ლაგებისას, 10 %, არალ- მშენებარე დასახლებებში /ვარსკვლავების ფარგლის	ჯგუფური მოედნის ფართობი ბაგის წლოვანების ბავშვებისთვის საჭი- როა მიღებულ იქნას 7,5 $მ^2$ 1 ადგილისთვის. საათამაშო მოედნები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის და- საშვებია განთავს- დეს, საერთო ტიპის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა

1	2	3	4.
	ანასთანავე საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს იმ ანგარიშით, რომ იყოს არა უმეტეს 100 ადგილი 1 ათას ადამიანზე.	შემცირების ანგარიშზე/.	დაწესებულების ნაკვეთის გარეთ.
	საპროექტო დავალების	მიხედვით	
გადასურული აუზები სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის,	საჭიროა მიღებულ იქნას იმ ანგარიშით, რომ ბავშვები არასრული	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ტევადობისას, მოსწავლეები:3	სკოლების მიწის ნაკვეთების ზომები შეიძლება იყოს:

1	2	3	4
ობიექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ბოსტავლეები —	საშუალო განათლებით / I – IX კლასები/ უგრუნველყოფილნი იყვნენ 100 %, ხოლო საშუალო განათლებით /X – XI კლასები/ ერთ ცვლაში მეცადინეობი- სას, 75 %- მდე. ახალშენებარე – დასახ- ლებებში საჭიროა მიღებულ იქნას ზანაკლებ 180 ადგილისა 1 ათას. ადამ.	40-ზე მეტი- 400-მდე – – 50 მ² ერთ მოსწავლი- სათვის, 400-ზე მეტი- 500-მდე – 60 მ² ერთ მოსწავლი- სათვის, 500-ზე მეტი – 600-მდე 50 მ² ერთ მოსწა- ვლისათვის, 600-ზე მეტი- 800 -მდე – 40 მ² ერთ მოსწავლისათვის, 800-ზე მეტი – 1100-მდე	წევრიერებული 40 % Iა, I ბ, II ბ, I დ და IIა კლიმატურ ზო- ნაიონებში, 20 % – რეკონსტრუქციის პირობებში; გადიდებული: 30 % – სოფლის დასახლე- ბებში, თუ სასწავლო – საცდელ მუშაობის ორგანიზებისათვის გათვა- ლისწინებული არ არის სპეციალური ნაკვეთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
—	—	- 33 მ² ერთ მოსწავლე-სთვის 1100-ზე მეტი - 1500-მდე - 21 მ² ერთ მოსწავლისთვის 1500-ზე მეტი- 200-მდე - 17 მ² ერთ მოსწავლისთვის 2000-ზე მეტი - 16 მ² ერთ მოსწავლისთვის	საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიწებზე; სკოლის სპორტული ზონა შეიძლება გაერთიანებულ იქნას მიკრორაიონის ფიზკულტურულ-გამაჯან-საღებელ კომპლექსთან.

1	2	3	4
სკოლა - ინტერნატები, მოსწავლეები	საპროექტო დავალების მიხედვით	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის ტევადობისას, მოსწავლეები: 200-ზე მეტი 300-მდე - 70 მ² ერთ მოსწავლისთვის 300-ზე მეტი 500-მდე - 65 მ² ერთ მოსწავლისთვის 500 და მეტი - 45 მ² ერთ მოსწავლისთვის	სკოლის მიწის ნაკვეთზე ინტერნატის შენობის /საძილე კორპუსის/ განთავსებისას მიწის ნაკვეთის ფართობი საჭიროა გაიზარდეს 0,2 ჰა.
—	—		—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2	3	4
სკოლათშორისი სასწავლო-საწარმოო კომბინატი, ადგილი ⁴	მოსწავლეთა საერთო რიცხვის 8 %	მიწის ნაკვეთების ზომები სკოლათშორისი სასწავლო-საწარმოო კომბინატისათვის რეკომენდირებულია მიღებული იქნას არანაკლებ 2 ჰა, ავტოპოლიგონის ან ტრაქტორო-დრომისათვის – 3 ჰა.	ავტოტრაქტოროდრომი საჭიროა განთავსდეს სამოსახლო ტერიტორიის გარეთ
არასასკოლო დაწესებულებები, ადგილი ⁴	10 % მოსწავლეთა საერთო რიცხვიდან, მათ შორის შენობების სახეობისდა მიხ-ედვით:	საპროექტო დავალების მიხედვით	

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
—	ბავშვთა და მოსწავლეთა სასახლე /სახლი/ – 3,3 %; ახალგაზრდა ტექნიკოსთა სადგური – 0,9 %; ახალგაზრდა ნატურალისტების სადგური – 0,4 %; ახალგაზრდა ტურისტთა სადგური – 0,4 %; საბავშვო-ახალგაზრდული სპორტული სკოლა – 2,3 %; ხელოვნების ანდა მუსიკალური, სამხატვრო, ქორეოგრაფიული სკოლა ბავშვთათვის – 2,7 %.	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
